

მინისტრთა მოადგილეების
საბჭოს მემორანდუმის (CM) დოკუმენტები

საბჭოს მემორანდუმი (2015)175 საბოლოო 3 მარტი 2016¹

1249 შეკრება, 2-3 მარტი 2016

6 სოციალური ინტეგრაცია

6.4 ევროპის საბჭოს სტრატეგია ბავშვთა უფლებების შესახებ

a. ევროპის საბჭოს სტრატეგია ბავშვთა უფლებების შესახებ (2016-2021) –
ბავშვთა ადამიანის უფლებები

შინაარსი

| | |
|---|-------------------------------------|
| წინასიტყვაობა | Error! Bookmark not defined. |
| I. ევროპის საბჭო და ბავშვთა უფლებები: მიღწევები სამომავლო შედეგებისთვის | 3 |
| II. მივედით მიზნამდე? - გამოწვევები ბავშვთა უფლებების კუთხით დღეს და ხვალ | 4 |
| 1. სიღატაკე, უთანასწორობა და იზოლაცია | 4 |
| 2. ძალადობა | 5 |
| 3. უფროსების მიმართ კეთილგანწყობილი მართლმსაჯულების სისტემა | 6 |
| 4. გამოწვევები ოჯახებისა და მშობლების წინაშე | 6 |
| 5. რასიზმი, სიძულვილის ენა და რადიკალიზაცია | 6 |
| 6. ზრდა-განვითარება ციფრულ სამყაროში | 6 |
| 7. მიგრაცია | 7 |
| III. პრიორიტეტული სფეროები | 7 |
| 1. თანაბარი შესაძლებლობები ყველა ბავშვისთვის | 7 |
| 2. ყველა ბავშვის ჩართულობა | 10 |
| 3. ძალადობისგან თავისუფალი სიცოცხლე ყველა ბავშვისთვის | 11 |
| 4. ბავშვთა მიმართ კეთილგანწყობილი მართლმსაჯულების სისტემა ყველა ბავშვისთვის | 14 |
| 5. ბავშვის უფლებები ციფრულ გარემოში | 15 |
| IV. სტრატეგიის მიწოდება | 17 |

¹ ეს დოკუმენტი კვალიფიცირდება შეზღუდული აუდიტორისთვის ხელმისაწვდომად, სანამ ის არ იქნება მინისტრთა კომიტეტის მიერ განხილული
Internet : <http://www.coe.int/cm>

წინასიტყვაობა

1. ევროპის საბჭო იცავს და მხარს უჭერს ადამიანთა უფლებებს, რომელიც მოიცავს ბავშვთა უფლებებსაც. ეს დოკუმენტი ასახავს ევროპის საბჭოს პრიორიტეტებს ამ მიმართულებით 2016-დან 2021 წლების შუალედში.

2. ეს სტრატეგია განმარტავს:

- ევროპის საბჭოს მიღწევებს, რომლებზეც დაფუძნდება სამომავლო აქტივობები (თავი I);
- ძირითად გამოწვევებს ბავშვთა უფლებების კუთხით (თავი II);
- ხუთ პრიორიტეტული სფეროს და ამ გამოწვევების დაძლევის კუთხით გატარებულ ღონისძიებებს (თავი III);
- სამუშაო მეთოდებს, რათა მოხდეს სტრატეგიის აღსრულება (თავი IV).

3. ბავშვთა უფლებების გარანტირებისთვის ხუთი პრიორიტეტული სფეროა:

1. თანაბარი შესაძლებლობები ყველა ბავშვისთვის
2. ყველა ბავშვის ჩართულობა
3. ძალადობისგან თავისუფალი სიცოცხლე ყველა ბავშვისთვის
4. ბავშვთა მიმართ კეთილგანწყობილი მართლმსაჯულების სისტემა ყველა ბავშვისთვის
5. ბავშვის უფლებები ციფრულ გარემოში

4. ბავშვები ევროპის საბჭოს წევრ ქვეყნებში სარგებლობენ ადამიანთა უფლებების სრული სპექტრით, რომლებიც გარანტირებულია ადამიანთა უფლებების ევროპული კონვენციით, გაეროს კონვენციით ბავშვთა უფლებების შესახებ (UNCRC) და ადამიანთა უფლებების სხვა საერთაშორისო მექანიზმებით. ისინი მოიცავს სამოქალაქო, პოლიტიკურ, სოციალურ და კულტურულ უფლებებს. ეს სტრატეგია ცდილობს მოიცავს ადამიანის უფლებათა ყველა ეს კატეგორია და აყალიბებს ევროპის საბჭოს და მისი წევრი სახელმწიფოების ვალდებულებას, რომ ეს უფლებები რეალობად იქცეს ყველა ბავშვისთვის.

5. ევროპის საბჭოს მუშაობა ბავშვის უფლებებზე ეფუძნება გაეროს კონვენციას ბავშვთა უფლებების შესახებ (UNCRC) და კერძოდ, ოთხ მთავარ პრინციპს:²

1. დისკრიმინაციის აკრძალვა (მუხლი 2). ბავშვის უფლებები ვრცელდება ყველა ბავშვზე განურჩევლად მათი მდგომარეობისა. ყველა უფლება მიენიჭებულია ნებისმიერი სახის დისკრიმინაციის გარეშე, მიუხედავად ბავშვის ან მისი მშობლის ან კანონიერი მეურვის რასის, კანის ფერის, სქესის, ენის, რელიგიის, პოლიტიკური თუ სხვა შეხედულებების, ეროვნული, ეთნიკური და სოციალური კუთვნილების, წარმოშობის, ქონებრივი მდგომარეობის, შეზღუდული შესაძლებლობის, დაბადების, სექსუალური ორიენტაციის, გენდერული იდენტობის³, ან სხვა სტატუსისა. ეს სტრატეგია ყურადღებას ამახვილებს არადისკრიმინაციულობის პრინციპის გამოყენებას ყველა ხუთ პრიორიტეტულ სფეროში.

2. ბავშვის საუკეთესო ინტერესები (მუხლი 3). ყველა ქმედებაში, რომელიც ბავშვს ეხება, უპირველესად გათვალისწინებული უნდა იყოს ბავშვის საუკეთესო ინტერესები. ევროპის საბჭო იმუშავებს ამ პრინციპის ამუშავებაში სტრატეგიის ყველა ამოცანის ფარგლებში.⁴

3. სიცოცხლის, გადარჩენის და განვითარების უფლება (მუხლი 6). ბავშვს აქვს სიცოცხლის, ძალადობისგან და თვითმკვლელობისგან დაცვის თანდაყოლილი უფლება. განვითარება გაგებული უნდა იყოს მისი ყველაზე ფართო გაგებით, რომელიც მოიცავს ბავშვის ფიზიკურ, გონებრივ, სულიერ, მორალურ, ფსიქოლოგიურ და სოციალურ განვითარებას.

4. უფლება მოგისმინონ (მუხლი 12). ბავშვთა მონაწილეობა სტრატეგიის ხუთი პრიორიტეტული სფეროდან ერთ-ერთია, მაგრამ ეს ასევე არის მკვეთი ამოცანა. ბავშვების ჩართულობა ინდივიდუალურად, ოჯახში, ორგანიზაციასა და პოლიტიკაში გადაწყვეტილების

² გაეროს კომიტეტი ბავშვთა უფლებებზე გენერალური კომენტარი No. 5 (2003) ბავშვთა უფლებების კონვენციის განხორციელების ძირითად მექანიზმებზე.

³ CM/რეკ (2010) 5 მექანიზმები სექსუალური ორიენტაციის და გენდერული იდენტობის კუთხით დისკრიმინაციის დასაძლევად.

⁴ ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის გადაწყვეტილება „ბავშვის საუკეთესო ინტერესების“ შესახებ კონფერენციის დასკვნებთან დაკავშირებით, ბრიუსელი, 9-10 დეკემბერი, 2014 მის 2015 წლის 15 აპრილის შეხვედრაზე (DD(2015)266).

მიღების პროცესში ამოსავალია მათი უფლებების გაცნობიერების კუთხით. ევროპის საბჭო მოწოდებულია აირჩიოს მონაწილეობითი მიდგომა ბავშვთა უფლებებისადმი ამ სტრატეგიის ფარგლებში და მხარი დაუჭიროს მის წევრ სახელმწიფოებს იმავე მიდგომის გატარებაში.

6. სტრატეგია წევრ სახელმწიფოებთან, სამოქალაქო საზოგადოებასთან, ბავშვთა უფლებების სახალხო დამცველის აპარატთან, სხვა საერთაშორისო ორგანიზაციებთან და ბავშვებთან ფართო კონსულტაციების შედეგია⁵. ამ პროცესს ხელმძღვანელობდა ბავშვთა უფლებების შესახებ ევროპის საბჭოს სტრატეგიის (DECS-ENF) ექსპერტთა კომიტეტი, რომელიც სამჯერ შეხვდა 2014 – 2015-ში. სტრატეგია მიღებულ იქნა ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის მიერ 2 მარტს, 2016 და ამოქმედდება მაღალი დონის კონფერენციაზე სოფიაში, ბულგარეთი, 2016 წლის 5-6 აპრილს.

7. დაინტერესებული მხარეები, რომლებიც მონაწილეობენ სტრატეგიის შემუშავებაში, ასევე, გაითვალისწინეს ბავშვების მოსაზრებები. ევროპის საბჭოს წევრი ქვეყნებიდან ბავშვებთან 130-ზე მეტი კონსულტაციის მეორადი ანალიზი კონკრეტულად მომზადდა, რათა ამ სტრატეგიის შემუშავებისას მოეხდინა ინფორმირება⁶. ამ ანალიზის შედეგები დარჩება სტრატეგიის განხორციელების პროცესში რეფერირების დოკუმენტად. ზოგიერთმა წევრმა ქვეყნამ ასევე პირდაპირი კონსულტაციები გაიარა ბავშვებთან ეროვნულ დონეზე სტრატეგიაში მათი წვლილის ასახვის მიზნით.

8. ამ სტრატეგიასა და მის დანართებში ასახული პრიორიტეტული მიმართულებების და ქმედებების ბენეფიციარები არიან ბავშვები, ანუ 18 წლამდე ასაკის მაცხოვრებლები ევროპის საბჭოს 47 წევრ სახელმწიფოში. თუმცა, ევროპის საბჭოს ქმედებები, როგორც სამთავრობათშორისო ორგანიზაციისა, ვრცელდება მისი წევრი სახელმწიფოების მთავრობათა შუამავლობით, რომლებიც მამოძრავებელი რგოლია მის განხორციელებაში სხვა დაინტერესებულ მხარეებთან ერთად, როგორცაა სამოქალაქო საზოგადოება და ბავშვთა სახალხო დამცველის აპარატი.

9. ამ სტრატეგიის ხანგრძლივობა ექვსი წელია. შუალედური შეფასება, რომელიც სტრატეგიის კორექტირების შესაძლებლობას მოგვცემს, განხორციელდება სამი წლის შემდეგ წევრი სახელმწიფოების და სხვა დაინტერესებული მხარეების ხელმძღვანელობით.

I. ევროპის საბჭო და ბავშვთა უფლებები: მიღწევები სამომავლო შედეგებისთვის

10. უკვე არსებობს თითქმის 10 წელია 2006 წლიდან, რაც პროგრამა „ევროპის მშენებლობა ბავშვებისთვის და მათთან ერთად“ იბრძვის დაიცვას და წინა პლანზე წამოაყენოს ბავშვთა უფლებები ევროპის საბჭოს წევრ ქვეყნებში. სხვა მრავალთან ერთად, მიღწეულია შემდეგი შედეგები:⁷

- საკანონმდებლო და პოლიტიკის ცვლილება, რათა გაუმჯობესდეს ბავშვთა უფლებების დაცვის მდგომარეობა, უკვე განხორციელდა ყოვლისმომცველი წევრი სახელმწიფოების მიერ შემუშავებული და მინისტრთა კომიტეტის მიერ მიღებული ორი სავალდებულო და 18 არასავალდებულო ნორმის საშუალებით ბავშვთა უფლებებზე. ამ კონვენციების, რეკომენდაციები და სახელმძღვანელო დანერგვის გაეროს კონვენცია ბავშვთა უფლებების ევროპულ დონეზე.⁸ ეს კონვენციები, რეკომენდაციები და გაიდლაინები ხელს უწყობს გაეროს კონვენციის ბავშვთა უფლებების შესახებ დანერგვის პროცესს ევროპის მასშტაბით.
- ბავშვთა უფლებების განხორციელების და ამ კუთხით გამოწვევების შესახებ ევროპის საბჭოს კონვენციების შესაბამისად არსებული ცოდნის ბაზა გაფართოვდა სანდო ინფორმაციის მოძიებით სულ მცირე ევრო საბჭოს რვა მონიტორინგისა და სხვა მექანიზმების გზით.⁹

⁵ კითხვარები შეავსო 39 წევრმა სახელმწიფომ, 34 არასამთავრობო ორგანიზაციამ და 13 ბავშვთა უფლებების ომბუდსმენმა. ექვსმა საერთაშორისო ორგანიზაციამ წრილობითი წარმოდგინა უკუკავშირი.

⁶ ევროპის საბჭო (2015). გამოწვევები ბავშვთა უფლებების კუთხით დღეს: რას ფიქრობენ ბავშვები? ბავშვთა შეხედულებების და პრიორიტეტების სამაგიდე კვლევა, რათა აცნობოს ევროპის საბჭოს სტრატეგია ბავშვთა უფლებების შესახებ.

⁷ იხ. 2012-2015 სტრატეგიის განხორციელების ანგარიში (CM(2015)174).

⁸ ევროპული კონვენცია ბავშვთა შვილად აყვანის შესახებ (რედაქტირებული) (CETS No. 202; 2008/2011); ევროპის საბჭოს კონვენცია სექსუალური ექსპლუატაციისა და სექსუალური ძალადობისაგან ბავშვთა დაცვის შესახებ. (ლანზარატოს კონვენცია) (CETS No. 201; 2007/2010). ევროპის საბჭოს სავალდებულო და არასავალდებულო სტანდარტები ბავშვთა უფლებების დაცვაზე. იხ. www.coe.int/children.

⁹ ევროპული კომიტეტი სოციალურ უფლებებზე (ECSR); ევროპის საბჭოს კონვენციის სექსუალური ექსპლუატაციისა და სექსუალური ძალადობისაგან ბავშვთა დაცვის შესახებ (ლანზარატოს კონვენცია) მხარეთა კომიტეტი; წამების პრევენციის კომიტეტი (CPT); ევროპული კომისია რასიზმისა და შეუმწყნარებლობის წინააღმდეგ (ECRI); მრჩეველთა კომიტეტი ეროვნულ უმცირესობათა დაცვის ჩარჩო კონვენციაზე (ACFC); ექსპერტთა ჯგუფი ადამიანთა წინააღმდეგ ტრეფიკინგის თემაზე (GRETA); ევროპული კომისია დემოკრატიისთვის კანონის გავლით ზვენიციის კომისია); ექსპერტთა კომიტეტი რეგიონული ან უმცირესობათა ენებზე ევროპული ქარტიაზე (ECRML).

- მოთხოვნის საფუძველზე წევრმა ქვეყნებმა მხარდაჭერა მიიღეს ბავშვთა უფლებების განახორციელებაში 160-ზე მეტი საქმიანობის და 28 თანამშრომლობითი პროექტის¹⁰ მეშვეობით, რომლებიც ხორციელდება ევროპის საბჭოს მიერ, ისევე, როგორც მრავალი ორმხრივი საქმიანობის საშალებით, რომლებიც ევროპის საბჭოს პროგრამის და ბიუჯეტის საშალებით ხორციელდება. წინა, 2012-დან 2015 წლამდე, სტრატეგიის ფარგლებში ორგანიზებულ იქნა 200-ზე მეტი საქმიანობა ბავშვთა უფლებების შესახებ, რომელშიც ყველა 47 წევრი სახელმწიფო იყო ჩართული.
- მკვეთი და მოქნილი სამუშაო მეთოდები შეიქმნა წევრ სახელმწიფოებთან ერთად ბავშვთა უფლებების შესახებ ეროვნული კოორდინატორების ქსელის მეშვეობით და 2014 და 2015 წლებში შეიქმნა ექსპერტთა კომიტეტი ბავშვთა უფლებების შესახებ ევროპის საბჭოს სტრატეგიისთვის.
- მოიძიებულ და გათვალისწინებულ იქნა ბავშვების შეხედულებები ბავშვთა უფლებებზე რეკომენდაციების შემუშავებისას მინისტრთა კომიტეტისთვის¹¹ და შემუშავდა საკომუნიკაციო მექანიზმები, რომლებიც ბავშვებზეა მიმართული.
- განვითარდა ძლიერი პარტნიორობა სხვა საერთაშორისო ორგანიზაციებსა და არასამთავრობო ორგანიზაციებთან და აქცია ევროპის საბჭო მთავარ მოთამაშედ ბავშვთა უფლებების კუთხით ევროპისა და საერთაშორისო დონეზე.
- ბავშვები, მშობლები, პროფესიონალები და პოლიტიკის შემმუშავებელნი უფრო მეტად არიან ინფორმირებული ბავშვთა უფლებების შესახებ ხელმისაწვდომი ინსტრუმენტების, მიზნადგეული აუდიო-ვიზუალური მასალის და ევროპის საბჭოს მიერ შექმნილი ინოვაციური კამპანიების მეშვეობით, როგორცაა კამპანია „ყოველი მეხუთე“ ბავშვებზე სექსუალური ძალადობის შესაჩერებლად.¹²
- ბავშვთა უფლებები მეინსტრუქციონდება ორგანიზაციის მასშტაბით და შედეგად 35 სექტორსა და პოლიტიკის სფეროში ევროპის საბჭომ წვლილი შეიტანა ბავშვთა უფლებების 2012-2015 წლების სტრატეგიის განხორციელებაში.

II. მივედით მიზნამდე? - გამოწვევები ბავშვთა უფლებების კუთხით დღეს და ხვალ

11. გაეროს კონვენციამ ბავშვთა უფლებების შესახებ გამოიწვია პარადიგმის ცვლილება იმ კუთხით, თუ როგორ უნდა აღიქვამდეს საზოგადოება ბავშვს, კერძოდ, ის, რომ სწორედ ისინი არიან უფლებათა ჭეშმარიტი სუბიექტები და ცვლილების აგენტები. თუმცა, გაეროს კონვენცია ბავშვთა უფლებების შესახებ 25 წლის წინ შევიდა ძალაში (1990), დღეს მისი იდეა ისევ კამათის საგანია. მიუხედავად მიღწეული წარმატებისა, ბავშვთა უფლებები ყოველდღიურად ირღვევა. კვლავ დიდი ხარვეზებია ბავშვთა სამართლებრივი დაცვის კუთხით, ასევე დიდია სხვაობა კანონმდებლობასა და პრაქტიკას შორის. ძლიერი პოლიტიკური ნება, საკმარისი რესურსები და ბავშვთა უფლებების შესახებ ფართო საზოგადოებრივი ცნობიერებაა საჭირო იმისთვის, რომ ბავშვი აღქმული იყოს, როგორც სრულუფლებიანი მოქალაქე. ბავშვების პირადი შეხედულებების, ასევე წევრი სახელმწიფოებისგან, სამოქალაქო საზოგადოების და ბავშვთა უფლებების ომბუდსმენისგან მიღებული ინფორმაციის საფუძველზე, ამ თავში მოცემულია ბავშვთა უფლებების დაცვი კუთხით ყველაზე საგანგაშო გამოწვევები მომდევნო წლების განმავლობაში.

1. სიღატაკე, უთანსწორობა და იზოლაცია

12. ეკონომიკურმა კრიზისმა ძირეული გავლენა იქონია ბავშვებზე. UNICEF-ის მონიტორინგის ანგარიშში მოხსენიებული 32 ევროპის საბჭოს წევრი სახელმწიფოდან ბავშვთა სიღატაკე გაიზარდა 20 ქვეყანაში და შემცირდა მხოლოდ 12-ში.¹³ ევროსტატის თანახმად, ბავშვთა ასაკობრივი ჯგუფი სიღატაკის და სოციალური იზოლაციის ყველაზე მაღალი რისკის მატარებელი ჯგუფია. სიღატაკეში მცხოვრები

¹⁰ 2006-დან 2015-მდე, ბავშვთა უფლებებს მიეძღვნა 11 ერთობლივი პროგრამა ევროკავშირთან ერთად და 17 თანამშრომლობითი პროექტი, რომლებიც დაფინანსდა მოხალისეობრივი შემოწირულობის საშალებით.

¹¹ მაგალითად, ბავშვთა მიმართ კეთილგანწყობილი მართლმსაჯულების სისტემის შესახებ სახელმძღვანელო, რომელიც შეიმუშავა მინისტრთა კომიტეტმა 2010 წელს ითვალისწინებს დაახლოებით 3,800 ბავშვის შეხედულებას 25 წევრი სახელმწიფოდან. ბავშვების მოსაზრებები ასევე გათვალისწინებულ იქნა ბავშვის მიმართ კეთილგანწყობილი ჯანდაცვის სისტემის სახელმძღვანელოზე მუშაობისას, ასევე რეკომენდაციები ბავშვის მიმართ კეთილგანწყობილი სოციალური მომსახურებისადმი და რეკომენდაციები 18 წლამდე ბავშვების და ახალგაზრდების მონაწილეობაზე.

¹² მაგალითისთვის, სატელევიზიო ჩანართი და საბავშვო წიგნი „კიკო და ხელი“ შეიქმნა კამპანიის „ყოველი მეხუთეს“ ფარგლებში, რომელიც გამიზნულია ბავშვებისა და მათ მშობლებისადმი (www.underwearrule.org).

¹³ UNICEF კვლევითი ოფისი (2014), რეცესიის ბავშვები: ეკონომიკური კრიზისი გავლენა ბავშვთა კეთილდღეობაზე მდიდარ ქვეყნებში, ინცენტის ანგარიშის ბარათი 12.

ბავშვები თავს გარიყულად და სტიგმატიზირებულად გრძნობენ.¹⁴ მათ შეძლებულ თანატოლებზე ნაკლები ალბათობით ექნებათ წარმატება სკოლაში სწავლისას, მეტი ექნებათ ჯანმრთელობის პრობლემა და ცხოვრების გვიანულ ეტაპზე მოახდენენ საკუთარი პოტენციალის რეალურ შეფასებას.¹⁵ თაობებზე გარდამავალი ციკლური სიდატაკით, ევროპა დგას იმედგაცრუებული ახალგაზრდების „დაკარგული თაობის“ წარმოების საფრთხის წინაშე, რომელიც პოტენციურად სერიოზული საფრთხის მატარებელია საზოგადოებრივი ინტეგრაციის და პოლიტიკური სტაბილურობისთვის.¹⁶ უმუშევრობის მაღალი დონით და საზოგადოებრივი კეთილდღეობის შეცირებით შეიძლება გაიზარდოს სტრესი დაზარალებულ ოჯახებს შორის, რომელიც ძალადობისა და უგულვებელყოფის ახალ რისკის ფაქტორებს.¹⁷

13. ბევრი ბავშვი ევროპაში თავს იზოლირებულად გრძნობს და თვლის, რომ დისკრიმინაცია ნომერი პირველი პრობლემაა ბავშვთა უფლებების კუთხით.¹⁸ განათლებაზე, თამაშზე, გართობაზე ხელმისაწვდომობის შეზღუდვა, ან ბუღინგის მსხვერპლი ეთნიკური წარმომავლობის, სექსუალური ორიენტაციის ან სხვა სტატუსის გამო, ყველა ის გამოცდილებაა, რომელიც ბავშვს დაღს ასვამს და მათ ცხოვრებაზე სამუდამო კვალს ტოვებს. ადამინის უფლებათა გადმოსახედიდან, საზოგადოების ხარისხი იზომება იმ არამეტრით, თუ როგორ ექცევა ის თავის ყველაზე მოწყვლად და მარგინალიზირებულ ჯგუფებს. ეს ბავშვთა რამდენიმე ჯგუფს მოიცავს, როგორებიცაა შშმ ბავშვები, მშობელთა მზრუნველობას მოკლებული ბავშვები, უმცირესობათა ბავშვები, მათ შორის რომა¹⁹ ბავშვები, მუდმივად მიგრაციაში მყოფი ან მიგრაციისგან სხვაგვარად ვნებული ბავშვები, თავისუფლება წართმეული ბავშვები, ქუჩაში მცხოვრები და/ან მომუშავე ბავშვები და პატიმრობაში მყოფი მშობლების შვილები.

2. ძალადობა

14. ძალადობა ბავშვთა მიერ აღიარებული უმთავრესი პრობლემაა.²⁰ ბავშვთა მიმართ ძალადობა წარმოადგენს ბავშვის უფლებების დარღვევას, საფრთხის ქვეშ აყენებს ბავშვის სოციალურ განვითარებას და აფერხებს მათ მიერ საკუთარი უფლებების გამოყენების შესაძლებლობას.²¹ ძალადობას ხშირად აქვს გამანადგურებელი მოკლე და გრძელვადიანი გავლენა ბავშვის გონებრივ და ფიზიკურ ჯანმრთელობაზე, რომელიც ხანდახან თაობებს გადაეცემა. გარდა ერთეულ მსხვერპლზე ზეგავლენისა, არასამთავრობო ორგანიზაციების კვლევები უჩვენებს, რომ ძალადობა საზოგადოებისთვის შორს მიმავალი ხარჯია.²² ბავშვის წინააღმდეგ ყველა ფორმის ძალადობის დასრულება ამიტომაცაა სავალდებულო სამართლებრივი, ეთიკური და ეკონომიკური აუცილებლობა.

15. მიუხედავად მნიშვნელოვანი პროგრესისა ბავშვთა მიმართ ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლაში, პროგრესი მაინც ძალიან ნელი და ფრაგმენტულია. ბავშვთა მიმართ ძალადობის რისკი, განსაკუთრებით გოგონების შემთხვევაში, რჩება ყველა გარემოცვაში, მათ შორის ციფრულ გარემოში და ისეთ გარემოში, სადაც ბავშვი ყველაზე დაცული უნდა იყოს - სკოლებში, მოვლის ცენტრებში, სამართალდამცავ დაწესებულებებში, გართობისას, სპორტული აქტივობებისას და სახლში. პროგრესს აჩერებს არასაკმარისი ინვესტიცია მის პრევენციაში, ფრაგმენტული და ცუდად გატარებული ეროვნული პოლიტიკა, მწირი მონაცემები და კვლევები, ასევე არასაკმარისი ყურადღება კონსულტირების, ანგარიშგების, გამოსწორების და რეინტეგრაციის ბავშვზე მორგებულ მექანიზმებს.

16. მიუღებელი რეალობაა ევროპაში კონფლიქტში მყოფი ბავშვების მიმართ ძალადობა. მაშინაც კი, როცა მთავრდება კონფლიქტი, ბავშვები ტრამვირებული რჩებიან იმით, რისი განცდაც და ხილვაც მათ მოუწიათ. მნიშვნელოვანია ახალგაზრდა თაობებს შორის ნდობის აშენება და აღდგენა.

¹⁴ ევროპის საბჭო (2015), ბავშვთა უფლებების გამოწვევები დღეს: რას ფიქრობენ ბავშვები? თავი 10.

¹⁵ ევროპული კომისიის რეკომენდაციები „ინვესტირება ბავშვებში: არასახარბიელო ციკლის რღვევა“, 2013.

¹⁶ იხ. საპარლამენტო ასამბლეის რეზოლუცია 1885(2012) „შეწირული ახალგაზრდა თაობა: ფინანსური კრიზისის სოციალური, ეკონომიკური და პოლიტიკური შედეგები“.

¹⁷ ბავშვთა ნდობის ტელეფონი საერთაშორისო (2013), ახალგაზრდა ევროპის ხმა RWD.

¹⁸ ევროპის საბჭო (2015), ბავშვთა უფლებების გამოწვევები დღეს: რას ფიქრობენ ბავშვები? თავი 8.

¹⁹ ტერმინი „რომა და მოგზაურები“ გამოიყენება ევროპის საბჭოს მიერ და მოიცავს ევროპის საბჭოს საქმიანობის ქვეშ მყოფ ადამიანთა ფართო ჯგუფებს ამ მიმართულებით: ერთის მხრივ a) რომა, სინტი/მანუშ, კალე, კალე, რომანიჩაღს, ბოიამ/რუდარი; b) ბლაკანელი ეგვიპტელები (ეგვიპტელები და აშკალები); c) აღმოსავლეთის ჯგუფები (დომ, ლომ და აზდალ); და მეორეს მხრივ, ჯგუფები, როგორცაა მოგზაურები, იენიშები და პოპულაცია, რომელიც იდენტიფიცირებულია ადმინისტრაციული ტერმინით „Gens du voyage“, ასევე პირები, რომლებიც საკუთარ თავს ზომებად მოიხსენიებენ.

²⁰ Ibid., თავი 4.

²¹ იხ გაეროს ბავშვთა უფლებების კომიტეტის გენერალური კომენტარი # 13 (2011) ბავშვთა თავისუფლების უფლებაზე ყოველგვარი ძალადობისგან, რომლის მიხედვით „ძალადობად“ განისაზღვრება ყოველგვარი ფიზიკური, მენტალური ძალადობა, დაზიანება, შეურაცხყოფა, უყურადღებობა ან დაუდევრობა, არასათანადო მოპყრობა ან ექსპლუატაცია, მათ შორის სექსუალური ძალადობა.

²² უცხოური განვითარების ინსტიტუტი და ბავშვთა ფოკუს ალიანსი (2014), ბავშვთა მიმართ ძალადობის ხარჯები და ეკონომიკური გავლენა.

3. უფროსების მიმართ კეთილგანწყობილი მართლმსაჯულების სისტემა

17. ევროპული მართლმსაჯულების სისტემა კვლავაც არასაკმარისად ადაპტირებულია ბავშვის სპეციფიკურ საჭიროებებზე. კვლევები უჩვენებს, რომ ბავშვთა უფლება, იყვნენ მოსმენილნი, ინფორმირებულნი, დაცულნი, არ იყვნენ დისკრიმინირებულნი, ყოველთვის არ ხორციელდება.²³ კომფლიქტში მყოფ და კანონთან შეხებაში მყოფ ყველა ბავშვს აქვს კონკრეტული უფლებები, რომელზედაც მართლმსაჯულების სისტემა უმეტესად ადექვატურად არ რეაგირებს. ბავშვის თავისუფლების აღკვეთა არ არის, გაეროს კონვენციის ბავშვთა უფლებების შესახებ საპირისპიროდ, გათვალისწინებული, როგორც უკანასკნელი საყრდენი და ისიც უმოკლესი შესაძლო დროით. მიგრანტთა და სხვა ბავშვების ადმინისტრაციული დაკავება და თავისუფლების აღკვეთის პირობები სხვათა უფლებების რეალიზებისთვის სერიოზული გამოწვევაა.

18. ადამინის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართალი და სოციალური უფლებების ევროპული კომიტეტი უამრავი ისეთი სიტუაციის მომსრეა, როდესაც ბავშვების უფლებები საფრთხის ქვეშაა. უკანასკნელ წლებში სასამართლომ აღმოაჩინა ადამინის უფლებათა ევროპული კონვენციის რიგი დარღვევები ბავშვის უფლებებთან მიმართებაში, მაგალითად დაირღვა მუხლი 8 (პირადი და ოჯახური ცხოვრების პატივიცემის უფლება,) მუხლი 9 (აზრის, სინდისისა და რელიგიის თავისუფლების უფლება) და მუხლი 14 (დისკრიმინაციის აკრძალვა).²⁴ სოციალური უფლებების ევროპულმა კომიტეტმა ასევე აღმოაჩინა რამდენიმე სახელმწიფო, რომლებიც ევროპულ სოციალურ ქარტიას არღვევენ, მათ შორის ფიზიკური დასჯის არასაკმარის და არასავალდებულო აკრძალვაში.

4. გამოწვევები ოჯახებისა და მშობლების წინაშე

19. ოჯახი, მისი ფორმის მიუხედავად, საზოგადოების ფუნდამენტალური ერთეულია და ის წარმოადგენს ბუნებრივ გარემოს ბავშვის ზრდისა და კომფორტისთვის. ბავშვები ძალიან დიდი მნიშვნელობას ანიჭებენ ურთიერთობას მშობლებთან და და-ძმებთან.²⁵ თუმცა, ოჯახები შესაძლოა სხვადასხვა გამოწვევის წინაშე აღმოჩნდნენ: ეკონომიკურმა კრიზისმა მრავალი ოჯახი უმუშევარი დატოვა და ისინი სრულიად დაუცველნი არიან მომავლის წინაშე. სამუშაოსა და ოჯახის შეთავსება ბევრი მშობლისთვის რჩება რთულ ამოცანად და განსაკუთრებით ეს განქორწინებულ მშობლებს უჭირთ, რომელთა უმეტესობა ქალია. ძალადობა, რომელსაც ბავშვები განიცდიან და უყურებენ, შესაძლოა ოჯახის კონტექსტში მოხდეს. ოჯახების მზარდ რაოდენობას უწევს მიგრაცია. ახალი საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები უმატებს სრულიად ახალ განზომილებას მშობლობას. ბევრ მშობელს არ აქვს მხარდაჭერა თავიანთი როლის შესრულებაში ბავშვის აღზრდისას და მათთვის უფლებების გარანტირებისას.

5. რასიზმი, სიძულვილის ენა და რადიკალიზაცია

20. ბოლოდროინდელი ეკონომიკური კრიზისი ინტენსიურად შეეხო ბევრი წევრი სახელმწიფოს სოციალურ ინტეგრაციას, რომელიც საბოლოო ჯამში საფრთხეს უქმნის, როგორც კანონის უზენაესობას, ისე დემოკრატიას.²⁶ ევროპული კომისია რასიზმისა და შეუმწყნარებლობის წინააღმდეგ (ECRI) საუბრობს „განტევის ვაცის სინდრომზე“ და აღნიშნავს, რომ გაზრდილია სიძულვილის ენა მოწყვლადი ჯგუფების წინააღმდეგ და რასისტული ძალადობა. ბავშვებისა და ახალგაზრდების რადიკალიზაცია არის შემფოთების კიდევ ერთი მიზეზი, რომელიც საჭიროებს მეტ ინვესტიციას ტოლერანტობისა და კულტურათმორისი დიალოგის მხრივ განათლებაში.²⁷ არის შემთხვევები, როდესაც ექსტრემისტულ დაჯგუფებებში ხდება ევროპელი ბავშვების რეკრუტირება. საჭიროა ამის პრევენციისთვის მოიძებნოს რეაგირების ფორმები, თუმცა ასევე საჭიროა იმ უმცირესობათა რეინტეგრაცია, რომლებიც იყვნენ საზღვარგარეთ ექსტრემისტ დაჯგუფებებთან და უკან დაბრუნდნენ.

6. ზრდა-განვითარება ციფრულ სამყაროში

²³ ევრო კავშირის ფუნდამენტური უფლებების სააგენტო (FRA) (2015), ბავშვთა მიმართ კეთილგანწყობილი მართლმსაჯულების სისტემა – პერსპექტივები და პროფესიონალთა გამოცდილება ბავშვების ჩართულობაზე სამოქალაქო და კრიმინალური მართლმსაჯულების საქმისწარმოებაში ევროკავშირის 10 წევრ ქვეყანაში.

²⁴ ადამინის უფლებათა ევროპული სასამართლო, ფაქტების უწყისი ბავშვთა უფლებების შესახებ, მარტი 2015.

²⁵ ევროპის საბჭო (2015), ბავშვთა უფლებების გამოწვევები დღეს: რას ფიქრობენ ბავშვები? თავი 11.

²⁶ ევროპის საბჭო (2015), დემოკრატის, ადამინის უფლებათა და კანონის უზენაესობის მდგომარეობა ევროპაში. ევროპის საბჭოს გენერალური მდივნის ანგარიში.

²⁷ ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის დეკლარაცია: "გავერთიანდით ჩვენი პრინციპების გარშემო მძინვარე ექსტრემიზმისა და ტერორიზმისკენ მიმავალი რადიკალიზაციის წინააღმდეგ", ბრიუსელი, 19 მაისი 2015.

მიუხედავად იმისა, ეს არის კომპიუტერები, სათამაშო კონსოლები, ტაბები თუ სმარტფონები, ციფრული სამყარო ბავშვებს აძლევს მდიდარ შესაძლებლობებს. ხელმისაწვდომობა ინტერნეტზე და ციფრული წიგნიერება თანდათან განიხილება, როგორც ახალი განზომილება ბავშვის გამოხატვის თავისუფლების, ჩართულობის და განათლების უფლებაზე. თუმცა, ციფრული გარემო ასევე წარმოადგენს საფრთხეს ბავშვებისთვის თავისი შინაარსით და შედეგებით, პირადი სივრცის და მონაცემთა დაცვის კუთხით, მათ შორის ონლაინ შექსუალური ძალადობა და ზედმეტი ხელმისაწვდომი სექსუალური სურათებზე. ზოგიერთ შემთხვევაში, როგორცაა კიბერ-ბულინგი და თვით-გამოვლინება, ბავშვების საქციელმა შესაძლოა ზიანი მიაყენოს სხვებს და მათთვის სარისკო გახდეს ეს. მშობლები და მასწავლებლები ცდილობენ ფეხი აუწყონ ტექნოლოგიურ განვითარებას, რადგან თაობათა შორის გახლეჩვა უფრო და უფრო თვალსაჩინო ხდება.²⁸

7. მიგრაცია

21. ბავშვები, მუდმივად მიგრაციაში მყოფი ან მიგრაციისგან სხვაგვარად ვნებული ბავშვები არიან ერთ-ერთი ყველაზე ვნებადი ჯგუფი ევროპაში.²⁹ ზოგიერთ ქვეყანაში მათ შეზღუდული ხელმისაწვდომობა აქვთ მართმსაჯულებაზე, განათლებაზე, სოციალურ და ჯანდაცვის მომსახურებაზე. ამასთან, უპატრონო ბავშვებ განსაკუთრებით საშიშ სიტუაციაში არიან³⁰, მიგრანტი ბავშვები საერთოდ, მიუხედავად იმისა, რომ შესაძლოა მშობლებთან ერთად იყვნენ, ხშირად ზარალდებიან ადამიანის უფლებათა დარღვევებით. ასევე ხშირად უგულვებლოყოფილია ბავშვის საუკეთესო ინტერესების გათვალისწინების პრინციპი თავშესაფარსა და იმიგრაციის პროცედურებში. დაკავება ბავშვის სოციალური დაცვის საპირისპიროდ, ეფექტური მეურვეის დანიშვნის შეუძლებლობა, ოჯახის სეპარაცია და ასაკის განსაზღვრის დამამცირებელი პროცედურები დამახასიათებელია იმ სხვადასხვა ფორმებისთვის, რომლებიც საშუალებით მიგრანტი ბავშვები ვარდებიან ბავშვთა უფლებების დაცვის კონტექტიდან. ისინი ასევე მაღალი რისკის ჯგუფია ტრეფიკინგისა³¹ და ექსპლოატაციისთვის. ბავშვები, რომლებიც რჩებიან მშობელთა მიგრაციის შემდეგ და მოქალაქეობის არმქონე ბავშვები ასევე დიდი რისკის ჯგუფს წარმოადგენენ მათი უფლებების დარღვევის კუთხით.

III. პრიორიტეტული სფეროები

22. ზემოთ ნახსენები პრობლემების მოსაგვარებლად, იდენტიფიცირებულ იქნა ხუთი პრიორიტეტული სფერო. ეს თავი ასახავს ამ სფეროებს, რომელთაგან ყველა ეფუძნება გაეროს კონვენციას ბავშვთა უფლებების შესახებ (UNCRC), ევროპული კონვენცია ბავშვთა უფლებების შესახებ, ევროპული სოციალური ქარტია, და ევროპული საბჭოს სხვა სტანდარტები ბავშვთა უფლებების დაცვის კუთხით.

23. ჩანარები ყველა თავის ბოლოს აჯამებს თითოეული პრიორიტეტისთვის მოსალოდნელ ზეგავლენას ბენეფიციარის დონეზე (ბავშვებისთვის), შედეგებს წევრი სახელმწიფოების და სხვა დაინტერესებული მხარეების დონეზე და ევრო საბჭოს მიერ შექმნილი შედეგების ფართო არჩევანს. ევროპის საბჭოს მანდატის ნორმატიული ქარტიის გათვალისწინებით, ევროპის საბჭოს მუშაობა ძირითადად შეფასდება შედეგებისა და გამოსავლების დონეზე, თუმცა იქნება მცდელობა, რომ მოძებულ იქნეს ზეგავლენის მტკიცებულებაც.³²

24. ორგანიზაციის შიგნით რისკების მართვის საპილოტე პროგრამის ფარგლებში³³, გამოვლენილ იქნა რისკ ფაქტორების გარკვეული რაოდენობა, რომელსაც შეუძლია უარყოფითად იმოქმედოს შედეგების მიღწევაზე, ასევე დადგინდა მათი შემამსუბუქებელი ქმედებები. აღწერილი რისკის ფაქტორები არ არის ამოწურვადი და შემუშავებული იქნება უფრო დეტალურად სტრატეგიის განხორციელების საწყის ფაზაზე. არასაკმარისი ფინანსური და ადამიანური რესურსები, ისევე, როგორც პოლიტიკური ნების ნაკლებობა არის ზოგადი რისკის ფაქტორები, რომელიც ვრცელდება ყველა პრიორიტეტულ სფეროზე.

1. თანაბარი შესაძლებლობები ყველა ბავშვისთვის

²⁸ ევროკავშირი ბავშვები ონლაინ (2014), ევროკავშირი ბავშვები ონლაინ: მიგნებები, მეთოდები, რეკომენდაციები .

²⁹ იხ. SG/Inf(2015)33, მიგრაციის გამოწვევები ევროპისთვის: კოლექტიური ქმედების საპირობა.

³⁰ იხ. გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისარიატი (UNHCR), მთლიანი და უვნებელი: რა უნდა გააკეთონ სახელმწიფოებმა, რომ უზრუნველყონ მშობლების ზრუნვის გარეშე დარჩენილი და მშობლებთან განშორებული ბავშვების საუკეთესო ინტერესების დაცვა ევროპაში, 2014.

³¹ იხ. ევროპის საბჭოს ექსპერტები ადამიანთა ტრეფიკინგის წინააღმდეგ (2015), მე-4 გენერალური ანგარიში.

³² იხ. გაეროს შეფასების ჯგუფი (2013), გაეროს სისტემაში ნორმატიული სამუშაოს შეფასების ჩატარების სახელმძღვანელო.

³³ იხ. ევროსაბჭოს ფინანსური რეგულაციები და დამატებითი დებულებები, მიღებული მინისტრთა კომიტეტის მიერ 2011 წლის 29 ივნისს და შესწორებული 2013 წლის 19-20 ნოემბერს.

25. გაეროს კონვენცია ბავშვთა უფლებების შესახებ (UNCRC) აღიარებს ყველა ბავშვის უფლებას ადეკვატურ საცხოვრებელ სტანდარტზე, რომელიც აუცილებელია ბავშვის ფიზიკური, გონებრივი, სულიერი, მორალური და სოციალური განვითარებისთვის. ევროპის სოციალური ქარტია იცავს ბავშვთა უფლებებს შესაბამის სოციალურ, სამართლებრივ და ეკონომიკურ დაცვაზე. გაეროს კონვენციის ბავშვთა უფლებების შესახებ და ევროპის სოციალურ ქარტიასთან ერთად, ოჯახებს უნდა ჰქონდეთ ყველა საჭირო დაცვა და დახმარება, რათა თავიანთი უმთავრესი როლის შესრულება შესძლონ.

1.1. ბავშვთა სოციალური უფლებების გარანტირება

26. ევროპის საბჭო მოახდენს ევროპის სოციალური ქარტიის პოპულარიზაციას, როგორც მინიმალური სტანდარტების ძირეულ ნაკრებს ოჯახების და ბავშვების უფლებების დასაცავად, რომელიც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ეკონომიკური ძნელებდობის ჟამს.³⁴ განსაკუთრებული ყურადღება დაეთმობა ევროპის კომისიის დასკვნებისა და გადაწყვეტილებების კონტროლს იმ საკითხებზე, როლებიც ბავშვთა უფლებებს ეხება.³⁵

27. ბავშვების სიღატაკე და სოციალური იზოლაცია შესაძლოა ყველაზე ეფექტურად დაძლეულ იქნას ბავშვთა დაცვის სისტემების საშალებით, რომელიც სიფრთხილით აერთიანებს პრევენციულ ღონისძიებებს, ოჯახის მხარდაჭერას, ადრეული ბავშვობის განათლებას და ზრუნვას³⁶, სოციალურ მომსახურებას, განათლებასა და საცხოვრებლის პოლიტიკას. წვერი სახელმწიფოები ამიტომაც წახალისებულნი იქნებიან, რათა მისდიონ და განახორციელონ მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაციები ბავშვის მიმართ კეთილგანწყობილი სოციალური მომსახურების, ჯანდაცვის მიწოდებაზე^{37 38}, დაუცველი უბნებიდან ახალგაზრდებისთვის სოციალურ უფლებებზე ხელმისაწვდომობა³⁹, და კონგრესის რეკომენდაცია ადგილობრივ და რეგიონულ ავტორიტეტებზე იმ ბავშვების სოციალურ ინტეგრაციაზე, რომლებიც ცხოვრობენ და/ან მუშაობენ ქუჩებში⁴⁰. მათ ასევე მხედველობაში შესაძლოა მიიღონ ევროპული კომისიის რეკომენდაციები „ინვესტირება ბავშვებში: არასახარბიელო ციკლის რღვევა“⁴¹ და მის მიერ გაწეული სამუშაო ბავშვთა დაცვის ინტეგრირებულ მექანიზმებზე⁴². ბავშვთა საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით ყველა იმ ღონისძიებაში, რომელიც მათზე ახდენს ზემოქმედებას⁴³, წვერი სახელმწიფოებისთვის მოხდება მხარდაჭერა ბავშვებზე მომხდარი ზეგავლენის შეფასების ეფექტურობის და ხარისხის დანერგავსა და გაუმჯობესებაში.

1.2. დაპირისპირება დისკრიმინაციასთან

28. უფლება დისკრიმინაციისგან დაცვაზე (იხ. თავი 1) დაცულია ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციით და გაეროს კონვენციით ბავშვთა უფლებების შესახებ, რომლისთვისაც ის ასევე ძირითადი პრინციპია.

29. ევროპის საბჭო გააგრძელებს შშმ ბავშვთა უფლებების დაცვას, რომელიც ეფუძნება გაეროს კონვენციას შშმ პირთა უფლებების დაცვაზე (UNCRPD) და ევროპის საბჭოს რეკომენდაციები, რათა უზრუნველყოფილი იყოს შშმ ბავშვების და ახალგაზრდების სრული ინკლუზია საზოგადოებაში⁴⁴ და შშმ ბავშვთა დეინსტიტუციონალიზაცია და მათი ცხოვრება სამეზობლოში⁴⁵. ჩატარდება მონაწილეობითი კვლევა შშმ ბავშვთა სპეციფიურ შესაძლებლობებსა და რისკებზე ციფრულ გარემოში.

³⁴ საპარლამენტო ასამბლეის რეზოლუცია 1995(2014) "ბავშვთა სიღატაკის დასრულება ევროპაში".

³⁵ იხ. კონკრეტულად მუხლი 7 (ბავშვების და ახალგაზრდების უფლება დაცვაზე), მუხლი 11 (ჯანმრთელობის დაცვი უფლება), მუხლი 16 (ოჯახის უფლება სოციალურ, სამართლებრივ და ეკონომიკურ დაცვაზე), მუხლი 17 (ბავშვების და ახალგაზრდების უფლება სოციალურ, სამართლებრივ და ეკონომიკურ დაცვაზე), მუხლი 30 (უფლება სიღატაკისა და სოციალური იზოლაციისგან დაცვაზე) და მუხლი 31 (განსახლების უფლება).

³⁶ იხ. CM/Rec(2002)8 ბავშვთა დღის ცენტრების შესახებ.

³⁷ CM/Rec(2011)12.

³⁸ ბავშვის მიმართ კეთილგანწყობილი ჯანდაცვის გზამკვლევი, მიღებული მინისტრთა კომიტეტის მიერ 2011 წლის 21 სექტემბერს.

³⁹ CM/Rec(2015)3.

⁴⁰ ევროსაბჭოს ადგილობრივი და რეგიონული ხელისუფლების კონგრესის რეკომენდაცია 253 (2008)

⁴¹ ევროპული კომისიის რეკომენდაციები „ინვესტირება ბავშვებში: არასახარბიელო ციკლის რღვევა“, 2013.

⁴² იხ. ევროპული კომისიის (2015), მე-9 ევროპული ფორუმი ბავშვების უფლებებზე, რეფლექციური მოხსენება, კოორდინაცია და თანამშრომლობა ბავშვთა დაცვის ინტეგრირებული სისტემების კუთხით.

⁴³ გაეროს კომიტეტი ბავშვთა უფლებებზე გენერალური კომენტარი No. 14 (2013) ბავშვთა უფლებებზე მათი ძლიერად ინტერესების უპირველესად გასათვალისწინებლად. კონვენციის განხორციელების ძირითად მექანიზმებზე.

⁴⁴ CM/Rec(2013)2.

⁴⁵ CM/Rec(2010)2.

30. რეზიდენტულ დაწესებულებებში მცხოვრები ბავშვების უფლებების შესახებ მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაციების⁴⁶ და გაეროს ალტერნატიული მზრუნველობის ქვეშ მყოფი ბავშვების უფლებებზე სახელმძღვანელოს შესაბამისად, ევროპის საბჭო განსაკუთრებულ ყურადღებას მიაქცევს იმ ბავშვების მდგომარეობას, რომლებიც **ალტერნატიული ზრუნვის ქვეშ იმყოფებიან** და ხელმძღვანელობას გაუწევს სფეროს პროფესიონალებს ბავშვების უფლებებზე დაფუძნებული და მონაწილეობითი მიდგომის განხორციელებაში თავიანთ სამუშაო ადგილებზე. სადაც დარჩენილია დიდი რეზიდენტული დაწესებულებები, ევროპის საბჭო მხარს დაუჭრს მათ დეინსტიტუციონალიზაციას ბავშვების მოვლის კუთხით, კერძოდ, სამ წლამდე ასაკის ბავშვებისთვის.

31. **მუდმივად მიგრაციაში მყოფი ან მიგრაციისგან სხვაგვარად ვნებული ბავშვების** უფლებები დაცული იქნება და მას მხარს დაუჭერს ევროპის საბჭოს სხვადასხვა ორგანო, მათ შორის ევროპის საბჭოს კომისარი ადამიანის უფლებებზე. წევრი სახელმწიფოებისთვის მოხდება დახმარება, რათა მათ შეასრულონ ადამიანის უფლებების კუთხით საკუთარი ვალდებულებები ადამიანის უფლებების ევროპული სასამართლოს პრევენდენტული სასამართლოს, სოციალურ უფლებებზე ევროპის კომიტეტის დასკვნების (ECSR), და წამების პრევენციის კომიტეტის (CPT), ექსპერტთა ჯგუფი ადამიანთა წინააღმდეგ ტრეფიკინგის წინააღმდეგ (GRETA), ასევე რასიზმისა და შეუმწყნარებლობის წინააღმდეგ ევროპის კომისიის (ECRI) შესაბამისად. უფრო მეტიც, ევროპის საბჭო უხელმძღვანელებს წევრ სახელმწიფოებს ბავშვთა უფლებების დაცვისადმი კოორდინირებულ ღონისძიებებს უპატრონო მიგრანტი არასრულწლოვანების ცხოვრების პროექტების შესახებ⁴⁷, მიგრანტთა ბავშვების და იმიგრანტული წარსულის მქონე ბავშვებთან ინტეგრაციის გაძლიერებაზე⁴⁸ და ბავშვების ეროვნებაზე⁴⁹ რეკომენდაციების გათვალისწინებით. განსაკუთრებით გამახვილდება ყურადღება უპატრონო მიგრანტ ბავშვებზე და მიგრაციასა და ბავშვთა ტრეფიკინგს შორის კავშირის გამოვლენაზე. ევროპის საბჭოს საპარამენტო ასამბლეა გააგრძელებს კამპანიას ბავშვთა იმიგრაციული დაკავების წინააღმდეგ.⁵⁰

32. ევროპის საბჭო გააგრძელებს **უმცირესობათა ბავშვების** უფლებების დაცვას, კერძოდ, ეროვნულ უმცირესობათა დაცვის კონვენციის ჩარჩოს მრჩეველთა კომიტეტის მუშაობის (ACFC) და რეგიონული და უმცირესობათა ენების ევროპული ქარტიის ექსპერტთა კომიტეტის (ECRML) საშუალებით. უკანასკნელის საშუალებით, ევროპის საბჭო განსაკუთრებით დაიცავს და მხარს დაუჭერს ტრადიციული ეთნიკური ან ეროვნული უმცირესობის ბავშვების უფლებას, რომელიც ეხება მათი ენის გამოყენებას პირად და საზოგადო ცხოვრებაში და სკოლაში.

33. გატარებული იქნება კონკრეტული ღონისძიებები, რათა შესფასდეს **რომა ბავშვების უფლებების** განხორციელება, რათა დამლეულ იქნას ისეთი პრობლემები, როგორცაა ადრეული/ბავშვთა ქორწინება, გაძლიერდეს რომა ბავშვების, განსაკუთრებით გოგონების და შშმ ბავშვების, ხელმისაწვდომობა ინკლუზიურ განათლებაზე, რათა მათ შესძლონ და ბოლომდე გამოიყენონ ROMED⁵¹ -ის ფარგლებში დატრეინინგებული რომა მედიატორები და ასისტენტები, ასევე რათა დამლეულ იქნას სტრეოტიპები რომა ბავშვების წინააღმდეგ Dosta! კამპანიის ბავშვისადმი კეთილგანწყობილი ვერსიის შემუშავებით.⁵²

34. იმისთვის, რომ ვებრძოლოთ გენდერის საფუძველზე აღმოცენებულ დისკრიმინაციას და მხარი დაუჭიროთ გოგონებსა და ბიჭებს შორის თანასწორობას, ევროპის საბჭო გააგრძელებს სტრეოტიპებთან და სექსიზმთან ბრძოლას, განსაკუთრებით მედიაში⁵³ და განათლებაში⁵⁴, ასევე ზედმეტ-სექსუალიზებასთან.

35. CM/Rec(2010)5 რეკომენდაციებზე დაყრდნობით, რომელიც სექსუალური ორიენტაციის ან გენდერული იდენტობის საფუძველზე დისკრიმინაციასთან ბრძოლას ეხება, ევროპის საბჭო ჩაატარებს კვლევას ლგბტ და ინტერსქესის ბავშვების სიტუაციაზე მათი უფლებების დაცვასთან დაკავშირებით.

⁴⁶ CM/Rec(2005)5.

⁴⁷ CM/Rec(2007)9.

⁴⁸ CM/Rec(2008)4.

⁴⁹ CM/Rec(2009)13.

⁵⁰ იხ <http://website-pace.net/web/apce/children-in-detention>.

⁵¹ ROMED არის ევროპის საბჭოს და ევროპა იუნაიტედის ერთობლივი პროგრამა, რომელიც რომა მედიატორების დატრეინინგებას ითვალისწინებს ევროპის მასშტაბით . იხ. www.coe-romed.org.

⁵² იხ www.dosta.org.

⁵³ CM/Rec(2013)1 გენდერულ თანასწორობასა და მედიაზე.

⁵⁴ CM/Rec(2007)13 განათლებაში გენდერულ მენსტრინინგზე.

პრიორიტეტული სფერო 1: თანასწორი შესაძლებლობები ყველა ბავშვისთვის

| |
|--|
| <p>ეფექტი ბავშვები სარგებლობენ თანასწორ შესაძლებლობებზე თავინათი უფლებებით</p> |
| <p>შედეგი წვერი სახელმწიფოები და სხვა სამზნე ჯგუფები...</p> <ol style="list-style-type: none"> 1. სცვლიან კანონმდებლობას და პოლიტიკას და უერთდებიან ბავშვთა სოციალური უფლებების დაცვის გაუმჯობესების კუთხით საერთაშორისო მექანიზმებს 2. ეყრდნობიან ევროპის საბჭოს სტანდარტებს და ინსტრუმენტებს, რათა დაუპირისპირდნენ ბავშვთა მიმართ დისკრიმინაციას |
| <p>რისკები და შემარბილებელი ზომები ევროპის საბჭოს გზამკვლევი და მექანიზმები სოციალური უფლებების დანერგვაზე და დისკრიმინაციისადმი დაპირისპირებაზე ცნობილი არ არის წვერი სახელმწიფოების საკანონმდებლო აქტორებისა და პოლიტიკის შემქმნელთათვის.</p> <p>➔ მეტი ცნობიერების ამაღლება ევროპის საბჭოს სტანდარტებსა და მექანიზმებზე, მათ შორის მათი თარგმნა ადგილობრივ ენებზე.</p> |
| <p>აუთფუტი (სელექცია)</p> <ul style="list-style-type: none"> - მიზანმიმართული ღონისძიებები სოციალური ქარტიის მონიტორინგის თვალის სადევნებლად - ომბუდსმენების და არასამთავრობოების შესაძლებლობების გაძლიერება სოციალურ უფლებებზე - Dosta! კამპანიის ბავშვისადმი კეთილგანწყობილი ვერსიის რომა ბავშვებზე - მიგანტი ბავშვების სიტუაციის მონიტორინგი, მათ შორის უპატრონო მიგრანტი არასრულწლოვნებისა, ECRI, ECSR, CPT, ECRMLის საშუალებით და ა.შ. - პროფესიონალების ტრეინინგი ალტერნატიული ზრუნვის ქვეშ მყოფი ბავშვების უფლებებზე - საჭიროებების შეფასება ანტი-დისკრიმინაციულ მექანიზმებზე ლგბტ ბავშვებისთვის |

2. ყველა ბავშვის ჩართულობა

36. ბავშვებს აქვთ უფლება, რომ მათ მოუსმინონ და ჩართონ ისინი იმ გადაწყვეტილების მიღების პროცესში, რომელიც მათ ეხებათ, როგორც ინდივიდუალურ დონეზე, ასევე ჯგუფების სახით. ნამდვილად აქვს ყველას გამოხატვის თავისუფლება, რომელიც გაცხადებულია ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-10 მუხლში. გაეროს კონვენცია ბავშვთა უფლებების შესახებ (UNCRC) ბავშვებს ანიჭებს უფლებას გამოხატონ თავიანთი შეხედულებები თავისუფლად ყველა იმ საკითხზე, რომელიც გავლენას ახდენს მათზე და მათ შეხედულებებს უნდა მიეცეს სათანადო წონა მათი ასაკის და სიმწიფის შესაბამისად.⁵⁵

2.1. ჩართულობაზე ბავშვთა უფლების მხარდაჭერა

37. ევროპის საბჭო უზრუნველყოფს მითითებების გაცემას, თუ როგორ მოხდეს ბავშვთა ჩართულობის გამყარება სისტემული სახით ყველა იმ კონტექსტში, რაც ბავშვებს შეეფერება. ბავშვთა და 18 წლამდე ახალგაზრდების⁵⁶ ჩართულობაზე რეკომენდაციის საფუძველზე ის დაეხმარება წვერი სახელმწიფოებს გამოიყენონ ევროპის საბჭოს ბავშვთა ჩართულობის შეფასების ინსტრუმენტი, როგორც ერთ-ერთი მექანიზმი, რომელიც შეაფასებს პრგრესს ბავშვების უფლებების კუთხით მათთან დაკავშირებულ საკითხებში ჩართულობაზე. მიღებული იქნება ღონისძიებები, რათა მოხდეს გამოცდილების გაზიარების ხელშეწყობა ბავშვების უფლებებზე-დაფუძნებული მონაწილეობის კუთხით⁵⁷ ევროპის საბჭოს ახალგაზრდულ სექტორთან, ბავშვთა და ახალგაზრდულ ორგანიზაციებთან, ბავშვთა ომბუდსმენებთან და ბავშვთა შესახებ მრჩეველთა ორგანოებთან თანამშრომლობით დამოუკიდებლობის, წარმომადგენლობითობის, კომპეტენციაზე დაფუძნებულობის, ინფრმაციულობისა და განგრძობითობის საფუძველზე.

2.2. ბავშვებამდე მისვლა

38. ევროპის საბჭო გააგრძელებს ბავშვების ჩართვას და პატივისცემით მოეპყრობა მათ შეხედულებებს ბავშვებთან დაკავშირებული სტანდარტების, პოლიტიკის, ღონისძიებათა შემუშავების, დანერგვის და

⁵⁵ იხ. გაეროს კომიტეტი ბავშვთა უფლებებზე გენერალური კომენტარი No. 12 (2009) ბავშვთა უფლებებზე, რომ მათ მოუსმინონ.
⁵⁶ CM/Rec(2012)2.
⁵⁷ იხ. ევროპის კომისია (2015), ევროკავშირში ბავშვთა ჩართულობაზე კანონმდებლობის, პოლიტიკის და პრაქტიკის შეფასება.

შეფასების პროცესში ზემოთ მითითებული პრინციპების გათვალისწინებით. ამასთან, განსაკუთრებით გამახვილდება ყურადღება მოწყვლად ჯგუფებში მყოფი ბავშვების მონაწილეობაზე, როგორებიც არიან შშმ ბავშვები, სიღატაკეში მცხოვრები, მზრუნველობაში მყოფი, რომა ბავშვები, მუდმივად გადაადგილებაში მყოფი ან მიგრაციით სხვაგვარად ვნებული ბავშვები და უმცირესობაში მყოფი ბავშვები. გამკარდება ძალისხმევა იმასთან დაკავშირებით, რომ მივიღეთ ბავშვებამდე და იმ ადამიანებამდე, რომელთაც მათზე გული შესტკივია და მუშაობენ მათთვის ვებგვერდების, აპლიკაციების, სოციალური მედიის, თამაშების, პუბლიკაციების და სხვა ბავშვისადმი მეგობრული ინსტრუმენტებით.

2.3. ჩართულობის გაძლიერება სკოლებში და სკოლების საშუალებით

39. ევროპის საბჭო გააძლიერებს შესაძლებლობებს ბავშვების ჩართულობაზე სასკოლო გარემოში და სკოლების დემოკრატიულ მმართველობას წევრ სახელმწიფოებში მოქალაქეთა განვითარების და ადამიანის უფლებათა სწავლების მხარდაჭერით დემოკრატიული მოქალაქეობის და ადამიანის უფლებებზე სწავლების ქარტიის განხორციელების ფარგლებში.⁵⁸ ხელი შეეწყობა ბავშვთა ჩართულობას ქარტიის განხორციელების მე-2 განხილვის პროცესში. მოხდება წევრ სახელმწიფოებში თანასწორ განმანათლებელთა წახალისება პილოტური პროექტის სქემის ფარგლებში „ადამიანის უფლებები და დემოკრატია მოძრაობაში“, რომელიც ერთობლივად დაფინანსებულია ევრო კავშირისა და ევროპის საბჭოს მიერ.⁵⁹

პრიორიტეტული სფერო 2: ყველა ბავშვის ჩართულობა

| |
|---|
| <p>ეფექტი ბავშვები სარგებლობენ ჩართულობის უფლებით</p> |
| <p>შედეგი წევრი სახელმწიფოები და სხვა სამზნე ჯგუფები...</p> <ol style="list-style-type: none"> 1. კანონმდებლობის და პოლიტიკის ცვლილება ბავშვთა ჩართულობის უფლების განხორციელების მიზნით 2. ბავშვთა ჩართულობის შეფასების ინსტრუმენტით სარგებლობა, რათა შეფასდეს გაეროს კონვენციის ბავშვთა უფლებების შესახებ მე-12 მუხლის განხორციელება; 3. ნაბიჯების გადადგმა, რათა მოხდეს ბავშვთა ჩართულობის გამყარება სისტემული სახით ყველა იმ კონტექსტში, რაც ბავშვებს შეეფერება. 4. EDC/HRH ქარტიის შემდგომი განხორციელება |
| <p>რისკები და შემარბილებელი ზომები ეფექტურობის და სანდოობის ნაკლებობა ბავშვთა ჩართულობაზე ევროპის საბჭოს მითითებებისა და ინსტრუმენტებისა ➔ ჭეშმარიტი თანამშრომლობა ბავშვებთან და გამოცდილ და საპილოტე კარგ პრაქტიკაზე დაყრდნობა</p> |
| <p>აუთფუტი (სელექცია)</p> <ul style="list-style-type: none"> - მრავალწლიანი პროექტები ბავშვთა მონაწილეობის შეფასების ინსტრუმენტზე - რეკომენდაცია (2012)2-ის გავრცელება და თარგმნა - კვლევა, ინსტრუმენტები და ბავშვის ინტერესებზე მორგებული მასალების შემუშავება ბავშვებთან ერთად - პილოტური პროექტის სქემა „ადამიანის უფლებები და დემოკრატია მოძრაობაში“ - კონფერენცია თემაზე: განათლება დემოკრატიისთვის“, სტრასბურგი, 2017 |

3. ძალადობისგან თავისუფალი სიცოცხლე ყველა ბავშვისთვის

40. გაეროს კონვენცია ბავშვთა უფლებების შესახებ (UNCRC) მოითხოვს, რომ სახელმწიფოებმა გაატარონ ყველა საჭირო საკანონმდებლო, სოციალური და საგანმანათლებლო ღონისძიებები, რათა დაიცვან ბავშვები ყოველგვარი ფიზიკური, მენტალური ძალადობის, დაზიანების, შეურაცხყოფის, უყურადღებობის ან დაუდევრობის, არასათანადო მოპყრობის ან ექსპლუატაციისგან, მათ შორის სექსუალური ძალადობისგან. ადამიანი სუფლებათა ევროპული კონვენცია, ევროპის სოციალური ქარტია და ევროსაბჭოს სხვა შეთანხმებები იცავს ბავშვს ზიანისა და ძალადობისგან.

⁵⁸ CM/Rec(2010)7.
⁵⁹ ექვემდებარება ფინანსურ თანამონაწილეობას ევროპის კომისიიდან.

41. თავისი ქმედებებით ბავშვთა მიმართ ძალადობის წინააღმდეგ, ევროსაბჭო გააგრძელებს მუშაობას, როგორც ინიციატივების რეგიონული გამწევი ძალა, რათა მოხდეს ბავშვთა წინააღმდეგ ძალადობის კვლევის მიხედვით გაეროს გენერალური მდივნის რეკომენდაციების განხორციელება და რათა მოხდეს, გაეროს გენერალური მდივნის სპეციალური წარმომადგენლის მანდატის მხარდაჭერა ბავშვთა წინააღმდეგ ძალადობაზე.

3.1. ძალადობისგან დაცვის ინტეგრირებული მიდგომის მხარდაჭერა

42. ბავშვთა წინააღმდეგ ძალადობის დაძლევა მოითხოვს ინტეგრირებულ და სტრატეგიულ მიდგომას. ევროპის საბჭო ხელს შეუწყობს ბავშვთა მიმართ ძალადობის აღმოფხვრას ყველა გარემოში და კერძოდ, განათლების, მედიის, მართლმსაჯულების, თანასწორობის, საოჯახო, მიგრაციის, ალტერნატიული ზრუნვის და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვთა კონტექსტში. ევროპის საბჭო ხელს შეუწყობს წევრ სახელმწიფოებს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაციების განხორციელებაში ბავშვთა ძალადობისგან დაცვის ინტეგრირებული ეროვნული სტრატეგიების შესახებ.⁶⁰ რეკომენდაციები მოიცავს მითითებებს მყარი სამართლებრივი, პოლიტიკური და ინსტიტუციური ჩარჩოების განვითარებისთვის, ბავშვთა უფლებებისადმი პატივისცემის კულტურის მხარდაჭერას, ბავშვისადმი მეგობრული მექანიზმების და მომსახურების ამუშავებას, ეროვნული კვლევის დღის წესრიგის მიღებას, რათა ავიცილოთ, მოვაგვაროთ და რეაგირება მოვახდინოთ ყველა ფორმის ძალადობაზე ბავშვთა წინააღმდეგ. ევროპის საბჭოს იმოქმედებს, როგორც საკოორდინაციო ცენტრი, რომელიც უზრუნველყოფს ხელმისაწვდომობას არსებული ეროვნულ სტრატეგიებზე ამ სფეროში და უზრუნველყოფს თანასწორთა მხარდაჭერის პლატფორმას მათი განვითარების, განხორციელებისა და განხილვის, მათ შორის, მონაცემთა შეგროვების კუთხით ეროვნულ, რეგიონალურ და ადგილობრივ დონეზე.

3.2. ბრძოლა სექსუალური ექსპლუატაციისა და სექსუალური ძალადობის წინააღმდეგ

43. ევროპის საბჭო ხელს შეუწყობს, გააკეთებს მონიტორინგს და განხორციელებს ევროპის საბჭოს ხელშეკრულებათა მხარდაჭერას, რომლებიც მიზნად ისახავს ბავშვების მიმართ სხვადასხვა სახის სექსუალური ძალადობის თავიდან აცილებასა და მათზე რეაგირებას. განსაკუთრებული ძალისხმევა მიმართული იქნება ყველა წევრი სახელმწიფოს მიერ ევროპის საბჭოს კონვენციის ბავშვთა სექსუალური ექსპლუატაციისა და სექსუალური ძალადობის (ლანზაროტეს კონვენცია) რატიფიცირების მისაღწევად, რომელის ეფექტური დანერგვა უზრუნველყოფილი იქნება ლანზაროტეს კონვენციის მხარეთა კომიტეტის მონიტორინგის სშუელობით და ასევე ის იქნება შესაძლებლობების განვითარების და კარგი პრაქტიკის გამოვლენის პლატფორმა.

44. ყოველი წლის 18 ნოემბერს მოხდება სექსუალური ექსპლუატაციისა და სექსუალური ძალადობისგან ბავშვთა დაცვის ევროპის დღის აღნიშვნა. დღეს დაეთმობა ამ უბედურების შესახებ ცნობიერების ამაღლებას, კარგი პრაქტიკის გაზიარებას და ლანზაროტეს კონვენციის რატიფიცირების და დანერგვის მხარდაჭერას. საპარლამენტო ასამბლეა, იმის გათვალისწინებით, რომ მუშაობს მისი ქსელი ბავშვთა მიმართ სექსობრივი ძალადობის შეწყვეტაზე „ყოველი მეხუთეს“ კამპანიის ფარგლებში, გააგრძელებს ლანზაროტეს კონვენციის რატიფიცირების და დანერგვის ხელშეწყობას და ითანამშრომლებს, რათა ევროპის დღე წარმატებულად ჩატარდეს.

45. ევროპის საბჭო ასევე მხარს დაუჭერს გაეროს სპეციალური მომხსენებლის მანდატს ბავშვთა გაყიდვის, პროსტიტუციის და ბავშვთა პორნოგრაფიის წინააღმდეგ.

3.3. ფიზიკური დასჯის გაუქმება

46. ევროპის საბჭო გააგრძელებს ყველა გარემოში, მათ შორის სახლში ბავშვთა წინააღმდეგ ფიზიკური და სხვა სასტიკი და დამამცირებელი დასჯის ფორმების გამოყენების ეფექტურად აღმოფხვრის მხარდაჭერას. ის მოახდენს იმ გამოწვევების იდენტიფიცირებას, რომლებიც შესაძლოა შეხვდეს ფიზიკური დასჯის საყოველთაო აღმოფხვრის გზაზე და ასევე, გამოავლენს მათი დაძლევის გზებს. წევრი სახელმწიფოებისთვის მოხდება სამართლებრივი რეფორმის კუთხით მხარდაჭერა, რათა მიღწეულ იქნეს სრული აკრძალვა დ ცნობიერების ამაღლება ბავშვის უფლებაზე შეურაცხყოფისგან დაცვის თანასწორობაზე, სასტიკი დასჯის საშიშროებაზე, ასევე მოხდება არაძალადობრივი დისციპლინის და

⁶⁰ CM/Rec(2009)10.

პოზიტიური აღზრდის წახალისება რეკომენდაციების შესაბამისად პოზიტიური მშობლების პოლიტიკის მხარდასაჭერად.⁶¹

3.4. ბავშვთა ძალადობისგან დაცვა სხვადასხვა გარემოსა და სხვადასხვა ფორმით

47. ევროპის საბჭო გააგრძელებს მუშაობას სკოლებში ძალადობის საკითხზე, განსაკუთრებით ევროპის საბჭოს მოქალაქეობისა და ადამიანის უფლებათა შესახებ განათლების ქარტიის საფუძველზე. მკვეთი მიდგომის განხორციელებით, ევროპის საბჭო ხელს შეუწყობს განათლების როლის გაძლიერებას სკოლებში სპეციფიური ძალადობის ფორმების, მაგ. ბულინგის, ჰომოფობიური დაშინების, კიბერ დაშინების და რადიკალიზმითან დაკავშირებული ძალადობის თავიდან აცილებას. ევროპის საბჭო მხარს დაუჭერს დემოკრატიული მოქალაქეობის და ადამიანის უფლებების შესახებ ცნობიერების ამაღლების აქციებსა და კამპანიებს საგანმანათლებლო მასალებით, როგორცაა ვიდეო კლიპი „დაამარცხე ბულინგი“ და პუბლიკაციით „ადამიანის უფლებები და დემოკრატია იწყება ჩვენთან: ქარტია ყველასათვის“.

48. ევროპის საბჭო წახალისებს ყველა წევრ სახელმწიფოს ხელი მოწეროს, რატიფიცირება გაუკეთოს და ეფექტურად განხორციელოს ევროპის საბჭოს კონვენცია ქალთა მიმართ ძალადობის და ოჯახში ძალადობის პრევენციის და მასთან ბრძოლის შესახებ(სტამბულის კონვენცია), კერძოდ, ექსპერტთა ჯგუფის მუშაობის საშუალებით აქციაზე ქალთა ძალადობის და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ (GREVIO), რათა დაიცვას გოგონები გენდერული ძალადობისგან, თავიდან აიცილოს, გამოაცხადოს დევნა და აღმოფხვრას ასეთი ძალადობა, ასევე გაავრცელოს კონვენცია ყველა ოჯახში ძალადობის მსხვერპლ ბავშვზე.

49. ევროპის საბჭო დაეხმარება წევრ სახელმწიფოებს თავიანთი ვალდებულებების შესრულებაში აქციის კონვენციის ფარგლებში, კერძოდ ექსპერტთა ჯგუფის მუშაობის საშუალებით აქციაზე ადმიანთა ტრეფიკინგის წინააღმდეგ (GRETA).

50. სპორტის შესახებ ევროპის საბჭოს გაფართოებული ნაწილობრივი შეთანხმების (EPAS) საშუალებით გააგრძელდება ჯანსაღი და უსაფრთხო სპორტული გარემოს მხარდაჭერა ბავშვებისთვის, ამთ შორის პროექტის Pro Safe Sports (PSS)⁶² გზით და ინსტრუმენტარიუმის სახელმძღვანელოს საშუალებით, რომელიც იძლევა მითითებებს სპორტული ადმინისტრატორების და მწვრთნელებისთვის სპორტში ფიზიკური, პსიქოლოგიური და სოციალური სიჯანსაღის შესახებ. ის ასევე მოახდენს ბავშვთა და ახალგაზრდა ათლეტთა მიგრაციასთან დაკავშირებული საშიშორებებისგან დაცვის რეკომენდაციების მონიტორინგსა და დანერგვას⁶³.

პრიორიტეტული სფერო 3: ძალადობისგან თავისუფალი სიცოცხლე ყველა ბავშვისთვის

| |
|---|
| <p>ეფექტი ბავშვები სარგებლობენ ძალადობისგან თავისუფალების უფლებით</p> |
| <p>შედეგი წევრი სახელმწიფოები და სხვა სამზნე ჯგუფები...</p> <ol style="list-style-type: none"> 1. კანონმდებლობის და პოლიტიკის ცვლილება, რათა განხორციელდეს რეკ (2009)10 2. ლანზეროტესა და სტამბულის კონვენციათა რატიფიცირება და დანერგვა 3. ფიზიკური დასჯის აკრძალვის წინააღმდეგ ღონისძიებათა გატარება 4. პოლიტიკის და კანონმდებლობის შეცვლა CoE სტანდარტების დანერგვის მიზნით, რომელიც ეხება ძალადობის სხვა ფორმებს |
| <p>რისკები და შემარბილებელი ზომები</p> <ul style="list-style-type: none"> - ლანზაროტეს კომიტეტის მონიტორინგის ანგარიში მთლიანად არ შეესაბამება წევრ სახელმწიფოებში არსებულ რეალობას → სახელმწიფოების მიერ წარდგენილი ინფორმაციის გადამოწმება, მათ შორის არასამათავრობოების და პრევენდენტული სამართლის საშუალებით - ნეგატიური საზოგადო აზრი CoE აქციისადმი, რომელიც ეხება ფიზიკურ დასჯას → ფიზიკური დასჯის ნეგატიური შედეგების და პოზიტიური მშობლობის უპირატესობების განმარტება |
| <p>აუთფუტი (სელექცია)</p> |

⁶¹ CM/Rec(2006)19.

⁶² იხ. <http://pjp-eu.coe.int/en/web/pss>.

⁶³ CM/Rec(2012)10.

- კომიტეტის მხარეთა მიერ ლანზაროტეს კონვენციის მონიტორინგი
- სექსუალური ექსპლუატაციისა და სექსუალური ძალადობისგან ბავშვთა დაცვის ევროპის დღე
- ონლაინ მექანიზმები კარგი პრაქტიკის შესახებ არა-ძალადობრივი მშობლობის წასახალისებლად
- წევრი სახელმწიფოების მხარდაჭერა მოახდინონ ფიიკური დასჯის სამართლებრივი აკრძალვა
- GREVIO და GRETA-ს მონიტორინგის ანგარიშები და შემდგომი ღონისძიებები

4. ბავშვთა მიმართ კეთილგანწყობილი მართლმსაჯულების სისტემა ყველა ბავშვისთვის

51. გაეროს კონვენციის ბავშვთა უფლებების შესახებ (UNCRC) თანახმად, ბავშვებს უფლება უნდა ჰქონდეთ და მათ უნდა მოუსმინონ ნებისმიერ სამართალდამცავი და ადმინისტრაციული საქმის წარმოებისას, რომელიც მათ ეხებათ და ხელი უნდა მიუწევდებოდეთ კომპეტენტურ დამოუკიდებელ და მიუერძობებელ მექანიზმებზე, როდესაც მათი უფლებები ირღვევა. გარდა ამისა, UNCRC-ის მონაწილე სახელმწიფოები აღიარებენ ყველა კანონთან კონფლიქტში მყოფი ბავშვის უფლებას, რათა მათ ბავშვის ღირსების შესაბამისად მოექცნენ, ასაკის გათვალისწინებით და ასევე გაითვალისწინონ მისი საზოგადოებაში რეინტეგრაციის ამოცანა. ყველა ქმედებაში, რომელიც ბავშვებს ეხება და მიხედავად იმისა ეს ხორციელდება საჯარო თუ კერძო სოციალური კეთილდღეობის ოგანიზაციის მიერ, სასამართლოს, ადმინისტრაციული ორგანოების თუ საკანონმდებლო პირების მიერ, ბავშვის საუკეთესო ინტერესი ყოველთვის პირველ რიგში უნდა იყოს გათვალისწინებული.

4.1. ბავშვთა მიმართ კეთილგანწყობილი მართლმსაჯულების მხარდაჭერა

52. ევროპის საბჭო მხარს დაუჭერს ევროპის საბჭოს მითითებების დანერგვას ბავშვთა მიმართ კეთილგანწყობილი მართლმსაჯულების სისტემის შესახებ⁶⁴ და ამისთვის ის დაეხმარება წევრ სახელმწიფოებს გააძლიერონ ხელმისაწვდომობა ბავშვების მონაწილეობაზე სამოქალაქო, ადმინისტრაციულ და კრიმინალური სამართალდარღვევის საქმისწარმოებაზე. ეს მოიცავს რიგ ღონისძიებებს, რომლებსაც ახორციელებს სამართლებრივი თანამშრომლობის ევროპული კომიტეტი (CDCJ), იურიდიული პროფესიონალებისთვის ადამინის უფლებების სწავლების პროგრამა (HELP) და სხვა შესაბამისი ორგანოები. ამასთან, საბჭო გააგრძელებს მჭიდრო მუშაობას საბჭო გააგრძელებს მჭიდრო მუშაობას ევროპის კომისიასთან, ევროკავშირის ფუნდამენტური უფლებების სააგენტოსთან, ასევე UNICEF CEE/CIS და ბალტიის ზღვის ქვეყნების საბჭოსთან (CBSS). გატარდება ღონისძიებები წევრი სახელმწიფოების მიერ UNCRC-ის მესამე ფაქულტატურული ოქმის რატიფიცირების და დანერგვის მხარდასაჭერად საკომუნიკაციო პროცედურების კუთხით.

4.2. ბავშვების დაცვა თავისუფლების აღკვეთის კონტექსტში

53. გაეროს კონვენციის ბავშვთა უფლებების შესახებ (UNCRC) თანახმად, თავისუფლების აღკვეთა უნდა იყოს უკანასკნელი ზომა და ამასთან, ყველაზე მცირე შესაძლებელი დროით. ევროპის საბჭო მხარს დაუჭერს წევრ სახელმწიფოებს, რათა თავიდან აცილებულ იქნას თავისუფლების აღკვეთა და ბავშვების კრიმინალიზაცია ისეთი მექანიზმების მეშვეობით, როგორცაა განრიდება და მზადება რეინტეგრაციისთვის. მატერიალური მდგომარეობა და დაკავების რეჟიმი უნდა გაუმჯობესდეს ევროპის საბჭოს სტანდარტების შესაბამისად. მოხდება წევრ სახელმწიფოთა მხარდაჭერა ევროპული კანონის დანერგვაში არასრულწლოვანი დამნაშავეებისთვის სანქციების ან სხვა დამსჯელი ღონისძიებების შეფარდებაზე.⁶⁵ ევროპის საბჭო მხარს დაუჭერს ევროპული კომიტეტის სტანდარტების დანერგვას წამების და არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყობის ან დასჯის პრევენციისთვის (CPT)⁶⁶, რაც ეხება თავისუფლება აღკვეთილი ბავშვების დაცვას არასწორი მოპყობის და ძალადობისგან, როემლიც ემყარება არასრულწლოვან დამნაშავეთა დაწესებულებებში ძალადობის შესახებ ანგარიშის რეკომენდაციებს⁶⁷, და შემუშავდება პრაქტიკული გზამკვლევი ბავშვთა თავისუფლების აღკვეთის ადგილების მონიტორინგისთვის. ის შეეხება იმ ბავშვების სიტუაციის მოგვარებას, ომელთა მშობლები დაკავებულნი არიან. ევროპის საბჭო მზადაა მხარი დაუჭიროს, თავისი მანდატის და შესაბამის

⁶⁴ ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის მიერ მიღებული მითითებები ბავშვთა მიმართ კეთილგანწყობილი მართლმსაჯულების სისტემის შესახებ 2010 წლის 17 ნოემბერს. იხ. ასევე საპარლამენტო ასამბლეის რეზოლუცია 2010 (2014) "ბავშვთა მიმართ კეთილგანწყობილი მართლმსაჯულების არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება: რიტორიკიდან რეალობამდე" და ბავშვთა მიმართ კეთილგანწყობილი მართლმსაჯულების სისტემის შესახებ მითითებების ორიენტირის ხელშეწყობა და განხორციელების მხარდაჭერა ევროპული კომიტეტის იურიდიული თანამშრომლობის მიერ (CDCJ(2014)15).

⁶⁵ CM/Rec(2008)11.

⁶⁶ CPT/Inf/E (2002) 1 - Rev. 2015.

⁶⁷ ევროპული კომიტეტი კრიმინალის პრობლემებზე, PCCP (2014), ანგარიში არასრულწლოვან დამნაშავეთა დაწესებულებებში ძალადობის შესახებ.

ფარგლებში, გაეროს გლობალურ კვლევას თავუფლება აღკვეთილი ბავშვების შესახებ,⁶⁸ სახელდობრ ევროპის რეგიონის მასშტაბით.

4.3. ბავშვთა უფლებები ოჯახში

54. ევროპის საბჭო მხარს დაუჭერს ამ სტანდარტების დანერგვას კანონში ოჯახის შესახებ, ბავშვთა შვილობის ევროპული კონვენციისა (რედაქტირებული) და ოჯახში შუამდგომლობაზე მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაციების ჩათვლით⁶⁹, ასევე მხარს დაუჭერს პოზიტიური მშობლობის პოლიტიკას⁷⁰, და ბავშვთა რელოკაციის კუთხით დავების მოგვარებასა და პრევენციას⁷¹. ევროპის საბჭო გაატარებს ღონისძიებებს ბავშვის საუკეთესო ინტერესიდან გამომდინარე ახალი ოჯახური ფორმების და ბიოეთიკიდან გამომდინარე, განსაკუთრებით სუროგაციის და დონორის მიერ რეპროდუქციის შემთხვევებში. განსაკუთრებული ყურადღება დაეთმობა ბავშვთა საუკეთესო ინტერესის პროცესის შეფასებას ოჯახის კონტექსტში. განხილულ უნდა იქნეს, როგორ დაალაგებენ წევრი სახელმწიფოები კანონს, რეგულაციებს და პროცედურებს იმისთვის, რომ ბავშვის საუკეთესო ინტერესი დაცული იყოს, როდესაც მოხდება მათი მოშორება მშობელთა მზრუნველობისგან, მიიღება მათ განსახლებაზე და ოჯახთან შეერთებაზე გადაწყვეტილებები.⁷²

პრიორიტეტული სფერო 4: ბავშვთა მიმართ კეთილგანწყობილი მართლმსაჯულების სისტემა ყველა ბავშვისთვის

| |
|---|
| <p>ეფექტი ბავშვები სარგებლობენ მართლმსაჯულების სისტემაში საკუთარი უფლებებით</p> |
| <p>შედეგი წევრი სახელმწიფოები და სხვა სამზნე ჯგუფები...</p> <ol style="list-style-type: none"> 1. კანონმდებლობის და პოლიტიკის შეცვლა, რათა დაინერგოს ბავშვთა მიმართ კეთილგანწყობილი მართლმსაჯულების სისტემა 2. მიღებულ იქნას ზომები, რომ შემცირდეს თავისუფლება აღკვეთილი ბავშვების რაოდენობა და გაუმჯობესდეს თავისუფლების აღკვეთის პირობები 3. გაძლიერდეს ბავშვის უფლებების განხორციელება, მათ შორის ოჯახის კონტექსტში საუკეთესო ინტერესის ჩათვლით |
| <p>რისკები და შემარბილებელი ზომები</p> <ul style="list-style-type: none"> - ევროპის საბჭოს მითითებები და ინსტრუმენტები წინააღმდეგობას აწყდება ეროვნულ სამართლებრივ სისტემაში და საზოგადოებრივ აზრთან შეჯახებისას - ➔ გაიზარდოს ცნობიერებ და განიმარტოს ბავშვის უფლებების და ბავშვის ცენტრად აღიარების მიდგომის სარგებელი; გავრცელდეს კარგი პრაქტიკა |
| <p>აუთფუტი (სელექცია)</p> <ul style="list-style-type: none"> - რეგიონული შეხვედრები კარგი პრაქტიკის გასაცვლელად ბავშვთა მიმართ კეთილგანწყობილი მართლმსაჯულების კუთხით - მონაცემთა შეგროვება ბავშვთა მიმართ კეთილგანწყობილი მართლმსაჯულების შერჩეული ასპექტების შესახებ - საკანონმდებლო სფეროს მუშაკთა ტრენინგი ბავშვთა მიმართ კეთილგანწყობილი მართლმსაჯულებაზე, მედიაცია, თავისუფლების აღკვეთის ადგილების მონიტორინგი და სხვ. - CPT-ის მიერ ბავშვთა დაკავების ადგილების მონიტორინგი - საპარლამენტო კამპანია ბავშვთა საემიგრაციო დაკავების დასრულების შესახებ - საჭიროებათა შეფასება კანონი ოჯახზე და ბიომედიცინის სფეროს ახალი გამოწვევების კუთხით |

5. ბავშვის უფლებები ციფრულ გარემოში

55. ახალი საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები (ICT) გავლენას ახდენს ბავშვის გართობაზე რამდენიმე მნიშვნელოვანი უფლების განხორციელებით, რომლებიც დაცულია UNCRC-ის, ადამიანთა უფლებების ევროპული კონვენციით და ევროპული სოციალური ქარტიით. გაეროს ბავშვთა უფლებების კომიტეტის რეკომენდაციების თანახმად, ყველა ბავშვს უნდა ჰქონდეს უსაფრთხო

⁶⁸ იხ. გაეროს გენერალური ასამბლეის რეზოლუცია A/C.3/69/L.24/Rev.1, პარაგრაფი 51.d.

⁶⁹ Rec(98)1.

⁷⁰ CM/Rec(2006)19. იხ. ასევე რეკომენდაციები (98)8 ბავშვთა მონაწილეობაზე ოჯახსა და სოციალურ ცხოვრებაში.

⁷¹ CM/Rec(2015)4.

⁷² იხ. საპარლამენტო ასამბლეის რეზოლუცია 2049 (2015) თემაზე „სოციალური სერვისები ევროპაში: კანონმდებლობა და პრაქტიკა ბავშვთა გამოყვანაზე ოჯახიდან ევროპის საბჭოს წევრ სახელმწიფოებში.“

ხელმისაწვდომობა საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებსა და ციფრულ მედიაზე, უნდა იცოდეს სრული ჩართულობის, საკუთარი თავის გამოხატვის, ინფორმაციის მოძიების და ყველა უფლებით სარგებლობის მექანიზმები ყოველგვარი დისკრიმინაციის გარეშე, როგორც ეს გაცხადებულია UNCRC-სა და ფაკულტატურულ ოქმებში.⁷³

56. ციფრული სამყარო ბავშვებს უსაზღვრო სასწავლო და ახალი კავშირების შესაძლებლობებს სთავაზობს, თუმცა არსებობს რეალურად დამაფიქრებელი გამოწვევებიც, რომელსაც წევრი სახელმწიფოები უნდა შეებრძოლონ ინტეგრირებული ფორმით ევოპის საბჭოს ინტერნეტ მმართველობის 2016-2021 სტრატეგიის შესაბამისად.⁷⁴ ევოპის საბჭო მოამზადებს მითითებებს და აღმოუჩენს მხარდაჭერას წევრ სახელმწიფოებს, რათა უზრუნველყოფილი იყოს ბავშვთა ჩართულობა, დაცვა და უფლებების განხორციელება ციფრულ გარემოში.

5.1. ბავშვთა ჩართულობა ციფრულ გარემოში

57. ევოპის საბჭო ხელს შეუწყობს და დაიცავს ბავშვთა უფლებებს არადისკრიმინაციულობის, ინფორმაციის ხელმისაწვდომობის, გამოხატვის თავისუფლების და ციფრულ გარემოში ჩართულობის კუთხით ამ სფეროში ჩართულ სხვა დაინტერესებულ მხარეებთან თანამშრომლობით.⁷⁵ შეიქმნება და გავრცელდება სმარტფონის და ტაბლეტის აპლიკაციები და სხვა საკომუნიკაციო ინსტრუმენტები ბავშვების, მათი მშობლების და მასწავლებლების ცოდნის ასამაღლებლად იმასთან დაკავშირებით, რომ მოხდეს ICT და ციფრული მედიის სრული და უსაფრთხო ათვისება. განსაკუთრებული ყურადღება დაეთმობა მოწყვლადი ჯგუფების ბავშვებს, როგორებიცაა შშმ ბავშვები. პოზირიური მშბლობის პოლიტიკასთან დაკავშირებულ რეკომენდაციებზე, ასევე სხვა შესაბამის სტანდარტებზე დაყრდნობით შემუშავდება მითითებები უფლებებზე დაფუძნებული მშობლობის შესახებ ციფრულ სამყაროში. ასევე შემუშავდება მითითებები წევრი სახელმწიფოებისთვის ციფრულ სამყაროში ბავშვთა უფლებებზე ინტეგრირებული მიდგომისთვის.

5.2. ციფრულ გარემოში ბავშვთა დაცვა

58. ევოპის საბჭოს კონვენციები წარმოადგენს მყარ საფუძველს შესაძლო რისკებისაგან ბავშვთა დასაცავად მათი უსაფრთხოების, უვნებლობის და კონფიდენციალურობის დასაცავად ციფრულ გარემოში. ევოპის საბჭო ხელს შეუწყობს, გასწევს მონიტორინგსა და მხარს დაუჭერს ბავშვთა სექსუალური ექსპლუატაციისა და სექსუალური ძალადობის წინააღმდეგ ევრო საბჭოს კონვენციის, კიბერდანაშაულის შესახებ კონვენციის და მის დამატებით ოქმის, პირთა მონაცემების ავტომატური დამუშავების პრევენციის კონვენციის, ქალთა მიმართ ძალადობის პრევენციის და ბრძოლის კონვენციის, ადამიანთა წინააღმდეგ ტრეფიკინგის კონვენციის, ასევე მინისტრთა კომიტეტიდან შესაბამისი რეკომენდაციების განხორციელების პროცესს.⁷⁶

5.3. დებულება ბავშვებისთვის ციფრულ გარემოში

59. ICT-იმ და ციფრულმა მედიამ ბავშვებისთვის ახალი შესაძლებლობები წარმოაჩინა მათი განათლებაზე უფლების განხორციელების კუთხით. იმისათვის, რომ მხარი დაუჭიროთ ინტერნეტის კრეტიულ, კრიტიკულ და უსაფრთხო გამოყენებას, ევოპის საბჭო დაიწყებს პან-ევროპულ პროექტს ციფრული მოქალაქეობის კუთხით განათლებაზე, რომელიც შეიქმნება დემოკრატიული მოქალაქეობის და ადამიანის უფლებათა საგანმანათლებლო პროექტის მიღწევათა და პროექტის დემოკრატიული კულტურის კომპეტენციების შედეგების საფუძველზე. მრავალ დაინტერესებულ მხარესთან კონსულტაციის და კარგი პრაქტიკის გაზიარების შედეგად, შემუშავდება პოლიტიკის გზამკვლევი და ციფრული მოქალაქეობის მახასიათებლების ამონათვალი და ის ხელმისაწვდომი გახდება წევრი სახელმწიფოებისთვის სასკოლო გარემოში გამოსაყენებლად.

60. ინტერნეტი და სოციალური მედია ფართოდ გამოიყენება ახალგაზრდებს შორის სიმულვილის ენის, რადიკალიზაციის და ტერორიზმის ადვოკატირებისთვის. საპასუხოდ, ევროსაბჭო გააგრძელებს კაპმანიას „არა სიმულვილის ენას“ და ჩადებს თანხებს საგანმანათლებლო და ინტერნეტ სფეროს სხვადასხვა მექანიზმებში, როგორც ეს გაცხადებულია სამოქმედო გეგმაში „მძვინვარე ექსტრემიზმის და

⁷³ გაეროს კომიტეტი ბავშვთა უფლებებზე, 2014 წლის ანგარიში, გენერალური დისკუსიის დღე თემაზე „ციფრული მედია და ბავშვის უფლებები“, მაისი, 2015.

⁷⁴ ამე ეტაპზე განხილავთა მინისტრთა კომიტეტის მიერ.

⁷⁵ იხ. CM/Rec(2014)6 ადამიანთა უფლებების გზამკვლევი ინტერნეტ მომხმარებლებისთვის.

⁷⁶ იხ. მაგალითად CM/Rec(2009)5 საზიანო შინაარსის და ქვევისგან ბავშვთა დაცვის მექანიზმები და ახალ საინფორმაციო და საკომუნიკაციო გარემოში მათი აქტიური ჩართულობის ხელშეწყობა.

ტერორიზმისკენ მიმავალი რადიკალიზმის წინააღმდეგ ბრძოლა“, რომელიც მიღებულია მინისტრთა კომიტეტის მიერ 2015 წლის 19 მაისს.⁷⁷

პრიორიტეტული სფერო 5: ბავშვის უფლებები ციფრულ გარემოში

| |
|---|
| <p>ეფექტი ბავშვები სარგებლობენ ციფრულ გარემოში საკუთარი უფლებებით</p> |
| <p>შედეგი წვერი სახელმწიფოები და სხვა სამზნე ჯგუფები...</p> <ol style="list-style-type: none"> 1. კანონმდებლობის და პოლიტიკის შეცვლა, რათა მოხდეს ბავშთა დაცვა ციფრულ გარემოში 2. მიღებულ იქნას ზომები, რომ ბავშვებმა ისწავლონ საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების სრული პოტენციალის სწორად გამოყენება 3. მოხდეს ციფრული მოქალაქეობის კუთხით განათლების მიწოდება, რათა აღიკვეთოს რადიკალიზაცია და სიძულვილის ენა |
| <p>რისკები და შემარბილებელი ზომები</p> <ul style="list-style-type: none"> - ტექნოლოგიები უფრო სწრაფად ვითარდება, ვიდრე მუშავდება ევროპის საბჭოს სტანდარტები და ინსტრუმენტები → მეტი ინვესტიცია საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიებში და კველვაში კერძო სექტორთან თანამშრომლობით - ევროპის საბჭოს სტანდარტები და ინსტრუმენტები ვერ აღწევს ინტერნეტ მმართველობაში მთავარ მოთამაშეებამდე → მრავალი დაინტერესებული მხარის მიდგომა, მათ შორის კერძო სექტორის ჩართვა |
| <ul style="list-style-type: none"> - ინტერნეტ მომხმარებლებისთვის ბავშვზე მორგებული ინსტრუმენტები ადამიანის უფლებებზე - ტაბ აპლიკაცია ბავშვებისთვის და მშობლებისთვის ინტერნეტში ნავიგაციის შესახებ - ციფრულ გარემოში ბავშვთა უფლებებზე ინტეგრირებული მიდგომის სახელმძღვანელო - კიბერდანაშაულის, მონაცემთა დაცვის და სექსუალური ექსპლოატაციისა და ძალადობის კონვენციათა მონიტორინგი - პან ევროპული პროექტი ციფრული მოქალაქეობის განათლებაზე - კამპანია სიძულვილის ენის წინააღმდეგ |

IV. სტრატეგიის მიწოდება

4. ევროპის საბჭო მიზნად ისახავს ამ სტრატეგიის მიწოდება არსებული სტანდარტების, პარტნიორობების, კომუნიკაციის და შეფასების დანერგვის პროცესზე მუდმივი კონცენტრირებით.

1. სტადარტების ამუშავება ბავშვებისთვის

5. იმისათვის, რომ ამ სტრატეგიაში გაწერილი ამოცანები ბავშვების რეალობად იქცეს, ევროპის საბჭო მოახდენს თავისი რესურსების კონცენტრირებას არსებული სტანდარტების დანერგვაზე. მეტი ძალისხმევა ჩაიდება თანამშრომლობაში როგორც კი ამის საჭიროება დაფიქსირდება წვერი სახელმწიფოს მიერ და რესურსები ხელმისაწვდომია, მაგალითად, წვერი სახელმწიფოების მიერ ნებაყოფლობითი შენატანების ან ერთობლივი პროგრამების სამუშელობით. ბავშვთა უფლებების დაცვის საკითხი აისახება თანამშრომლობის შესაბამის პროექტებსა და ევროპის საბჭოს სხვა დარგების საქმიანობებში.

6. წინა სტრატეგიის ფარგლებში მიღწეული შედეგების საფუძველზე, ბავშვის უფლებები კვლავაც დარჩება ევროპის საბჭოს კონვენციების თემატური და ქვეყნებზე დაფუძნებული მონიტორინგის უმთავრეს თემად. აქცენტი გაკეთდება ბავშვის უფლებების მონიტორინგის მექანიზმების შედეგად მიღებული მიგნებების ხილვადობასა და წვერი სახელმწიფოების მხარდაჭერაზე. კერძოდ, ეს მიღწეული იქნება, ბავშვთა უფლებების გაეროს კომიტეტთან უფრო სისტემატური თანამშრომლობით.

⁷⁷ CM(2015)74 საბოლოო.

7. ბავშვის უფლებებზე ევროპის საბჭოს თანამედროვე სამართლებრივი სტანდარტების იმის ფართო სპექტრის არსებობა ექვემდებარება საჭიროებების და მიზანშეწონილობის საფუძვლიან შეფასებას. ბავშვთა უფლებები კვლავაც აისახება ევროპის საბჭოს მიერ შემუშავებულ ყველა შესაბამის ახალ კონვენციებსა და რეკომენდაციებში.

2. ყველა მნიშვნელოვანი დაინტერესებული მხარის ჩართვა

8. ამ სტრატეგიის დანერგვა დამოკიდებულია ბევრ აქტორზე: წევრ სახელმწიფოებზე, საერთაშორისო ორგანიზაციებზე, სამოქალაქო საზოგადოებაზე, ბავშვთა ომბუდსმენებზე, აკადემიურ ქსელებზე, კერძო სექტორსა და თავად ბავშვებზე.
9. სტრატეგიის განხორციელების პროცესს უხელმძღვანელებს და შეაფასებს მიერ ბავშვთა უფლებების დროებითი კომიტეტი, რომელიც ანგარიშვალდებული იქნება ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტთან. კომიტეტი წარმოადგენილი იქნება 47 წევრი სახელმწიფოს წარმომადგენლით ევროპის საბჭოში და სხვა შესაბამისი დაინტერესებული მხარეებით.⁷⁸
10. ევროპის საბჭოს გენერალური მდივნის და გაეროს ბავშვთა ფონდის (UNICEF) აღმასრულებელი დირექტორის 2007 წლის ერთობლივ დეკლარაციაზე დაყრდნობით, ორივე ორგანიზაცია შეეცდება კიდევ უფრო გააძლიეროს თანამშრომლობა თავიანთ პროგრამებს შორის, მათ შორის, მზარდი კოორდინაციის და შესაძლო რეგიონული და ქვეყნის დონეზე თანამშრომლობის საშუალებით პრიორიტეტულ მიმართულებებზე, საჭიროების შემთხვევაში. ამ კუთხით სხვა მნიშვნელოვანი პარტნიორები არიან გაერო-ს გენერალური მდივნის სპეციალური წარმომადგენელი ბავშვთა მიმართ ძალადობის საკითხებზე, გაეროს სპეციალური მომხსენებელი ბევშვებით ვაჭრობაზე, ბავშვთა პროსტიტუციასა და ბავშვთა პორნოგრაფიაზე, ადამიანის უფლებათა გაეროს უმაღლესი კომისრის ოფისი და გაერო-ს ლტოლვილთა უმაღლესი კომისარი (UNHCR).
11. ამ სტრატეგიის პრიორიტეტების მეშვეობით, ევროპის საბჭოს მიზანია ბავშვთა უფლებების კონვენციის ფაქულტატიური ოქმების რატიფიცირება და განხორციელება ბავშვებით ვაჭრობაზე, ბავშვთა პროსტიტუციასა და ბავშვთა პორნოგრაფიაზე და კომუნიკაციის პროცედურაზე, ისევე, როგორც გაეროს მდგრადი განვითარების დღის წესრიგის 2030 დანერგვა თავისი კონკრეტული გამოცდილებით და შესაძლებლობებით.⁷⁹
12. ამასთან, ევროპის საბჭო გააგრძელებს მჭიდრო თანამშრომლობას ევროკავშირთან, კერძოდ, ევროკომისიისა და ფუნდამენტურ უფლებათა სააგენტოსთან, რომლებიც ძირითად პარტნიორები არიან ევროპის საბჭოს სტანდარტების განხორციელების ხელშეწყობაში. შესწავლილი იქნება ამ თანამშრომლობის კიდევ უფრო გაძლიერების შესაძლებლობები. ევროპის საბჭო ასევე გააგრძელებს მჭიდრო თანამშრომლობას ბალტიის ზღვის ქვეყნების საბჭოსთან (CBSS) და ფრანკოფონიის საერთაშორისო ორგანიზაციასთან (OIF).
13. ბავშვთა ომბუდსმენები და მათი ევროპული ქსელი (ENOC), ასევე საერთაშორისო და ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციები მნიშვნელოვანი განმახორციელებელი პარტნიორები არიან ევროპის საბჭოსთვის. შესწავლილი იქნება სამოქალაქო საზოგადოებასთან თანამშრომლობის გამჭვირვალობის და ფექტურობის გაზრდის გზები.
14. ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეა, ადგილობრივი და რეგიონული ხელისუფლების კონგრესი, საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციათა ევროპის საბჭოს კონფერენცია და ევროპის საბჭოს ადამიანის უფლებათა კომისარი სტრატეგიის ამოცანების მიღწევის გადამწყვეტი პარტნიორები არიან საკუთარი მანდატებითა და პრიორიტეტებით. გარდა ამისა, ყველა შესაბამისი ხელმძღვანელი, ექსპერტი კომიტეტი და მონიტორინგის ორგანოები მნიშვნელოვან როლს შეასრულებენ ამ სტრატეგიის განხორციელებაში. ევროპის საბჭოს განვითარების ბანკი შესძლებს სესხების გაცემას წევრი სახელმწიფოებისთვის ისეთი ინფრასტრუქტურული პროექტების თანადაფინანსებისთვის, რომლითაც ისარგებლებენ ბავშვები.

⁷⁸ ამ კომიტეტის კომპეტენციის ფაგლები წარმოადგენილი იქნება სტრატეგიასთან ერთად მინისტრთა კომიტეტისთვის და დაექვემდებარება მათ მიერ დამტკიცებას.

⁷⁹ UNGA A/Res/70/1 of 25 სექტემბერი 2015, ჩვენი სამყაროს ტრანსფორმირება: მდგრადი განვითარების დღის წესრიგი 2030

15. ევროპის საბჭოს მუშაობა ბავშვთა უფლებებზე ისევ კოორდინირებული იქნება დემოკრატიის გენერალური დირექტორატის ბავშვთა უფლებების დაცვის სამმართველოს მიერ. ამ პროცესს ფასილიტაციას გაუწევს სამდივნოთაშორისი სპეციალური ჯგუფი.

3. ბავშვთა უფლებების შესახებ ინფორმირებულობის გაზრდა

16. უდიდესი ამოცანაა მოხდეს ბავშვთა უფლებების შესახებ ცნობიერების ამაღლება ბავშვებს, მშობლებს, მომვლელებს, პროფესიონალებსა და პოლიტიკოსებს შორის, რომელსაც ევროპის საბჭო ესწრაფვის შეასრულოს წევრ ქვეყნებთან ერთად. უფრო მეტი ძალისხმევა ჩაიდება ონლაინ და აუდიო-ვიზუალურ საკომუნიკაციო საშუალებებზე, ისევე როგორც ევროპულ ჰაბში www.coe.int/children შემდგომ განვითარებაზე ყოვლისმომცველი, ხელმისაწვდომი და თანამედროვე ინფორმაციით ბავშვთა უფლებებზე.

4. შესრულებული სამუშაოს შეფასება

17. ამ ექვსწლიანი სტრატეგიის პროგრესი შეფასდება მისი ამოცანების მიხედვით თითოეული პრიორიტეტული სფეროს მოსალოდნელი ეფექტის, შედეგის და აუთფუტის გათვალისწინებით ინდიკატორებზე დაყრდნობით. შუალედური შეფასება კორექტირების შესაძლებლობით განხორციელდება სამი წლის შემდეგ წევრი სახელმწიფოების და სხვა დაინტერესებული მხარეების ხელმძღვანელობით. ძალისხმევა ჩაიდება, რათა სათანადოდ მოხდეს ბავშვების შეხედულების ჩატვა სტრატეგიის შეფასების და კორექტირების პროცესში. ამასთან, სამდივნო ყოველ ორ წელიწადში ერთხელ მოახდენს მინისტრთა კომიტეტის ინფორმირებას სტრატეგიის დანერგვასთან დაკავშირებულ საკითხებზე.